პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №9 (1797) 6-19 მაისი 2003

## „ფაინენშელ ტაიმსი“ დემოკრატიის შესახებ

„...დემოკრატია იმათ მმართველობას ნიშნავს, ვინც ქუჩაში უფრო დიდი ბრბოს გამოყვანას შეძლებს“...

მე-5 გვ.

## ყმაწვილების წერილი ედუარდ ბაბუს

მე-7 გვ.



„საყვარელო ედუარდ ბაბუ! წინასწარ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ უფროსები ცუდად მოგიხსენიებენ — ქვეყანს ვერ უძლვებაო, პატარებს მაინც გვიყვარხარ, იმიტომ რომ „დიდების ზღაპარში“ ძალიან კარგად თამაშობთ. ეს რომ ბაბუაჩემს ვუთხარი, იცით, რა მითხრა? — ეგ ზღაპარშიც კარგად თამაშობს და პოლიტიკაშიცო...“

## „ნატო ევრო-კავშირის პირისპირ“

მე-5 გვ.



## რას ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, ალბათ, ერაყის ბედს აღარ განსაზღვრავს

მე-4 გვ.

## ფიდელ კასტრო ფორმაშია

მე-3 გვ.



## ამერიკელები სირიას აფრთხობენ

მე-5 გვ.

## *ნოდარ ნათაძე:* „მე მეშინია „კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის“ ფენომენისა, როცა გასასამართლებლად განწირული დამნაშავე პრეზიდენტი ავანტურაზე მიდის და სამოქალაქო ომს აწყობს.“

მე-2 გვ.




კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

## საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

მე-2 გვ.

### საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

საქართველო

# შევარდნაძე უვნებელსაყოფია... მაგრამ...

## (ინტერვიუ ნ. ნათაძესთან)

**„საქართველო“. ვხედავთ, რომ შევარდნაძე არაფერს ერიდება, რათა ძალაუფლება შეინარჩუნოს. ამჟამად იგი დაუფარავი ძალადობით ცდილობს პირობების შექმნას საპარლამენტო არჩევნების კიდევ ერთი ტოტალური გაყალბებისათვის. ამავე დროს ვხედავთ, რომ დემოკრატიული ქვეყნების ელჩები ამჯერად არჩევნების გაყალბებისათვის ხელის შეშლას აპირებენ. აქ აშკარა წინააღმდეგობაა. როგორ ფიქრობთ: საით განვითარდება იგი?**

**ნ. ნათაძე.** შევარდნაძეს, შესაძლოა, იმედიც აქვს, რომ დაითანხმებს დასავლეთს კიდევ ერთხელ დაუჭიროს მხარი ხელისუფლებაში დასარჩენად. ეს, რა თქმა უნდა, უტოპიაა. შესაძლოა, მას იმედი აქვს „ელცინისებრი სცენარისა“: პრეზიდენტი დაუსჯელი მიდის, თვის კაცს ტოვებს და მშვიდად „წუწნის“, როგორც იტყვიან, თავის მილიარდებს სიკვდილამდე. ესეც, მე მგონი, უტოპიაა. მე მეშინია სხვისა — „კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის“ ფენომენისა, როცა გასასამართლებლად განწირული დამნაშავე პრეზიდენტი ავანტურაზე მიდის და სამოქალაქო ომს აწყობს. დღეს იგი აშკარად იკრებს ძალებს ქუჩაში გამოსული მასის საწინააღმდეგოდ: „კაზაკთა არმიას“, მუსლიმანურ რაზმებს, უკვე გამოცდილ მხვრეტავებს, რომელთაც 1992 წლის 3 იანვრის და 2 თებერვლის ხვრეტები ჩაატარეს თბილისში და ახლა, საფიქრებელია, სპეციალურ ნაწილთა ზომამდე არიან გაზრდილები. ლოგიკურად, იგი უნდა ეძებდეს საბაბს არჩევნების ჩასაშლელად საგანგებო მდგომარეობის ან სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების ფორმით. აქედან — ჩემი პროგნოზი სისხლიანი ავანტიურის შესახებ, მაგრამ არა მხოლოდ აქედან.

**„საქართველო“. თქვენ რამდენიმე წელიწადია, ამბობთ, რომ შევარდნაძის უკანასკნელი დავალება რუსეთიდან არის რუსული კომუნისტური გადატრიალების მოწყობა საკუთარი თავის წინააღმდეგ. ახლაც ასე ფიქრობთ?**

**ნ. ნათაძე.** მე ცოტა სხვაგვარად ვამბობ: „ღიად პრორუსული ხელისუფლების მოყვანა ან გაყალბებული არჩევნების გზით, ან შეიარაღებული გადატრიალების გზით“. რუსეთი ვერც თავის პროგრამა-მაქსიმუმს (ამიერკავკასიაში დაბრუნებას) და ვერც თავის პროგრამა-მინიმუმს (ამიერკავკასიაში გადამწყვეტი გავლენის შენარჩუნებას) ველარ განახორციელებს, თუ საქართველოს სათავეში თავისი პირდაპირი აგენტი არ იდგომება. ველარც თავის ღია აგენტს დასვამს საქართველოს სათავეში. ამიტომ იგი იძულებულია და იძულებული იქნება ფარულს დასჯერდეს. რა და რა უნდა მას დღეს ამ ფარული აგენტისაგან? **პირველი:** საქართველოს ნგრევა, საქართველოს არჩამოყალიბება სრულფასოვან სახელმწიფოდ. ამ ფუნქციას შევარდნაძე პირნათლად ასრულებს. **მეორე:** ხელშეწყობა, რომ საქართველოში რუსეთმა მაქსიმალურად შეინარჩუნოს და გაიფართოვოს სამხედრო, ეკონომიკური და სხვა პოზიციები. ამაშიც შევარდნაძე რუსეთის ერთგულია. რუსეთის ბაზების გაყვანის ოპერაციას ატარებს დასავლეთი და არა შევარდნაძე, შევარდნაძე კი შეძლებისდაგვარად აფერხებს ამ ოპერაციას. **მესამე** და მთავარი: შუა აზიისკენ დასავლური დემოკრატიის მსვლელობის მაქსიმალური შეფერხება, წლების მოგება, თვეების მოგება და დროის ჭიმვა. რატომ? იმიტომ, რომ მესამე მსოფლიო ომი, სამწუხაროდ, ჰაერში კიდია ჩვენს თავზე, ოღონდ გადავადებულია ორი-სამი ათწლეულით, და მისი ერთ-ერთი ძირითადი ფრონტი, ალბათ, შუა აზიაში განთავსდება. ამიტომ რუსეთი დაინტერესებულია, საქართველოში, როგორც მინიმუმი, ქაოსი შექმნას — თუნდ მისგან უმართავი, მაგრამ მაინც ქაოსი: ეკოლოგიური კატასტროფები, ეპიდემიები, სისხლი, დემორალიზაცია და ა.შ. ამიტომ მისთვის საინტერესოა არა მხოლოდ გადატრიალების მოწყობა და „გამარჯვებამდე“ მიყვანა, არამედ მისი დაწყებაც კი გამარჯვების გარეშე, ქაოსის მექანიზმის ამუშავება. ამისთვისაც შევარდნაძე, როგორც უძლური და კორუმპირებული დიქტატორი, იდეალური ფიგურაა. ასევე იდეალური ფიგურები არიან ის ვითომ-ოპოზიციონერები, რომლებიც დღეს ტელეეკრანზე ჩანან. ამათში ზოგის [illegible] პრორუსულ „ძალად“ ყოფნა, ზოგისა ის, რომ მასა მიიტყუონ სოციალური ლოზუნგებით და ე.წ. „მშიერი ბუნტი“ ანუ რეალურ ლოზუნგებს მოკლებული ამბოხება შექმნან, ზოგისა ის, რომ „დასავლური ორიენტაცია“ ისიმულანტონ და თავისი პირადი ულირსობითა და უეროვნულობით ხალხში სულიერი დეპრესია გამოიწვიონ, ზოგისა რა და ზოგისა რა. დააკვირდით, როგორი „პოლიტიკური სპექტრი“ შექმნეს: ერთ მხარეს შევარდნაძის ჯგუფი — საქართველოს, ასე ვთქვათ, ასპროცენტიანი მტრები, მეორე მხარეს — ორმოცდაათპროცენტიანი მტრები ამ შევარდნაძისვე გამონაყოფი და ქურდობით სახსრებმოპოვებული ფსევდოპარტიების სახით. მე კითხვას დაგისვამთ: იქნებოდა თუ არა რომელიმე მათგანი თავისი ნიჭის, გამბედაობის, ერთგულების, ინიციატივის, ცოდნის ხარისხის მიხედვით გასული სახელმწიფო ასპარეზზე, ეს რომ შევარდნაძისა და მის უკან მდგომი რუსეთის ნება არ იყოს?




**„საქართველო“. რაში ხედავთ ნამდვილი ოპოზიციური პარტიების, როგორც თქვენ ამბობთ — „ასპროცენტიანი“ პარტიების ამოცანას?**

**ნ. ნათაძე.** ჯერ ერთი, იმ „ასპროცენტიანების“ ორგანულ და ერთგულ თანამშრომლობაში. მაგრამ ეს — სხვათა შორის. ამ პარტიების და, საერთოდ, ქართველი საზოგადოებრიობის ამოცანაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა დღეიდანვე, ამ წუთიდანვე, როცა ხელისუფლება მტრის ხელშია ... როცა ამ მტერს ძირითად ამოცანად ამ სახელმწიფოს აშენების არდაშვება აქვს. ამ კონსტრუქციულ ამოცანაში შედის: პირველი. შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება (და ანალიზი) საქართველოში და მსოფლიოში არსებული მდგომარეობისა და მისი ევოლუციის პერსპექტივების შესახებ. მეორე. სახელმწიფოს პოლიტიკის ოპტიმალურ გზათა განსაზღვრა დარგობრივად. მესამე: სახელმწიფო საჭის ხელში ამღები კადრების შექმნა და ორგანიზაციული გაერთიანება. მეოთხე: კონკრეტული ბრძოლა საქართველოს კონკრეტულ მტრებთან (მაგალითად, საქართველოში მოპარპაშე რუსულ სპეცსამსახურებთან) და კონკრეტულ პრობლემებთან (მაგალითად, ე.წ. „საპროპაგანდო ომის“ პრობლემებთან) სახელმწიფოსა და მისი აპარატის — დღეს მტრის ხელში მყოფი აპარატის — გვერდის ავლით. მეხუთე: მტრული ხელისუფლების მხილება და მის იმ აქტთა იურიდიულად კორექტული ფიქსაცია, რომელთა მომავალი გაუქმება საქართველოს ინტერესებშია. მხოლოდ ამის შემდეგ დავასახელებ მეექვსეს: ესაა ხელისუფლებაში მისვლა და ჯანსაღი, ანუ ეროვნული და, მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების ძალების მიყვანა.

**„საქართველო“. სადაა ამ თქვენს გეგმაში „მტრული“ ხელისუფლების როლი? იგი დუმს? მიდის? აღარ არსებობს?**

**ნ. ნათაძე.** ამ მტრული ხელისუფლების ხელის შეხება ზემოჩამოთვლილ მოქმედებათა პროცესში საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი წინ ელობება ხსენებულ პოზიტიურ ამოცანათა გადაჭრას. შევარდნაძე, როგორც უზურპატორი, როგორც მოძალადე ტირანი და როგორც ქვეყნის მოღალატე, ყველა ნორმით, რაც კი კაცობრიობას დღემდე მოუფიქრებია, იმსახურებს განადგურებას (რაც, რასაკვირველია, მისი უვნებელყოფის ბევრად უფრო რბილი და „ეკონომიური“ გზაა, ვიდრე საერთო-სახალხო აჯანყება მის დასამხობად). ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, როგორც ისტორიასა და ეთიკის მეცნიერებაში ჩახედული კაცი და როგორც მოქალაქე. მაგრამ მე ამ მიზანს არ ვისახავ და მისი მიღწევა ხსნად არ მიმაჩნია, რადგან ზემოხსენებული პოზიტიური მზაობის გარეშე ნაყოფი ნულოვანი იქნება.

**„საქართველო“. დაგვრჩა ერთი ძირითად საკითხთაგან — დასავლეთის პოზიცია ჩვენი ამოცანების მიმართ.**

**ნ. ნათაძე.** მთავარი უკვე ვთქვით: დასავლეთისთვის მიუღებელია რუსული გადატრიალების გამარჯვება საქართველოში. ასე იყო რამდენიმე წლის წინათაც. მაგრამ ახლა უკვე მიუღებელია გადატრიალების დაწყებაც და ვერგაგრძელებაც, ანუ ქაოსი. დედამიწის ამ მხარეში მდგომარეობა იცვლება. დასავლეთს აქ სასიცოცხლო ინტერესები აქვს. შესაბამისად, მას აქ მოკავშირე სჭირდება და არა საკუთარი ეზო-კარისა და ცოლშვილის მუქთად დამთმობი ფსევდოხალხი. შესაბამისად, დასავლეთის სამომავლო პოლიტიკა საქართველოში იქნება სახელმწიფოებრიობის მშენებლობის სტიმულირება, და არა განიავებისა, და მისი ორიენტირი იქნება ქართველი პატრიოტი, მაშასადამე — ჭეშმარიტი დემოკრატი და არა მოჩვენებითი, როგორსაც დღეს შევარდნაძის გუშინდელი გამონაყოფის ერთი ნაწილი თამაშობს. ამ ფუნქციისთვის კი, ალბათ, „ასპროცენტიანები“ სჯობიან „ორმოცდაათპროცენტიანებს“. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, იმან, დაე, თქვენი კითხვის პასუხი საკუთარი ჭკუითაც ეძებოს.

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №1,2,3,4,5,6,7,8.

და, ბოლოს, მოგმართავთ თქვენ, ხალხის რჩეულთ, დეპუტატებს, — ერთხელ კიდევ გააცნობიეროთ დღევანდელი მომენტის ისტორიული მნიშვნელობა. ხვალ ჩვენ შესაძლოა, მესამე მთავრობა დავამტკიცოთ, მაგრამ საქართველოში დღეს არსებული კოშმარისათვის ქვეყანა პირველყოვლისა ჩვენ, ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს მოგვთხოვს პასუხს. უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, გამოსავალი ნამდვილად არის. ქვეყნის გადარჩენის აუცილებელი წინაპირობის, გამთლიანების მაგალითი ერს ჩვენ, დეპუტატებმა უნდა მივცეთ. ერთობლივი, კოალიციური, ჭეშმარიტად რეფორმისტული ხელისუფლების შექმნის შესახებ შეთანხმებას ნამდვილად შევძლებთ, თუკი ყველანი, პარლამენტის თავმჯდომარიდან რიგით დეპუტატამდე, უპირველეს ამოცანად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით ვიხელმძღვანელებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კვლავ დავიქსაქსეთ, თუ კვლავ დავპირისპირდით და თუ ერთხელ კიდევ მწარედ შევცდით, უკვე მეშვიდედ, საქართველოს სახელმწიფოებრივი კატასტროფა, შესაძლოა, რეალურად იქცეს და მაშინ არა თუ შთამომავლობა, თანამედროვენიც კი აუცილებლად მოგვნათლავენ ვარლამ არავიძეებად, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით და რაც არ უნდა გვეძახონ მე და ბატონ ნოდარ ნათაძეს, რომ ეს პოლიტიკური შანტაჟი და პოლიტიკური პრესია, ჩემი აზრით, შეიძლება, ეს რეალობაშიც ასე იყოს. დიდი მადლობა.

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

თობლივი, კოალიციური, ჭეშმარიტად რეფორმისტული ხელისუფლების შექმნის შესახებ შეთანხმებას ნამდვილად შევძლებთ, თუკი ყველანი, პარლამენტის თავმჯდომარიდან რიგით დეპუტატამდე, უპირველეს ამოცანად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით ვიხელმძღვანელებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კვლავ დავიქსაქსეთ, თუ კვლავ დავპირისპირდით და თუ ერთხელ კიდევ მწარედ შევცდით, უკვე მეშვიდედ, საქართველოს სახელმწიფოებრივი კატასტროფა, შესაძლოა, რეალურად იქცეს და მაშინ არა თუ შთამომავლობა, თანამედროვენიც კი აუცილებლად მოგვნათლავენ ვარლამ არავიძეებად, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით და რაც არ უნდა გვეძახონ მე და ბატონ ნოდარ ნათაძეს, რომ ეს პოლიტიკური შანტაჟი და პოლიტიკური პრესია, ჩემი აზრით, შეიძლება, ეს რეალობაშიც ასე იყოს. დიდი მადლობა.

**თავმჯდომარე.** ბატონი ელდარ შენგელაია, შემდეგი ქალბატონი ირინა სარიშვილი.

**ე. შენგელაია.** მე დიდხანს არ შეგაყოვნებთ იმიტომ, რომ ჩემთვის აბსოლუტურად ნათელი არის, რომ ამ დოკუმენტს ყველა თავისებურად კითხულობს და უფრო სწორად რომ ვთქვათ, წინასწარი დამოკიდებულება აქვს იმ ნაწილს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ დოკუმენტის მიღებას, უკვე არის ტენდენცია გამოკვეთილი და აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, ამ დოკუმენტში შეიძლება დაინახო ის, რაც მანდ არ წერია. ჩემი აზრით, მინდა შეგახსენოთ თქვენ, რომ ბევრჯერ აქაც და სხვა ადგილებშიც ვიხსენებთ ხოლმე 20 წლის ხელშეკრულებას, რომელიც თავის დროზე იყო გადათელილი. მე მინდა გითხრათ თქვენ, რომ ის პროცესები, რომელიც ხდება დღეს რუსეთში, ამ პროცესებს წინ აუცილებლად აღუდგება, ყოველ შემთხვევაში იურიდიული თვალსაზრისით თუ ფაქტობრივად არა, ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველო-რუსეთს შორის და ეს „სნგ“-ში გაწევრიანება საქართველოსი. ეს ორი დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვნად იცავს, მე მგონი აზროვნება. რადიკალური აზროვნება ალბათ საჭირო იყო იმ პერიოდში, როდესაც დისიდენტური მოძრაობა იყო საქართველოში. მაგრამ დღევანდელ დღეს რადიკალური აზროვნება ჩვენ გვიშლის რეალურად დავინახოთ მდგომარეობა და რეალური ნაბიჯები გადავდგათ. ბატონმა ივლიანე ხაინდრავამ აქ გამოსვლაში გაიხსენა ჩემი ფილმი და ერთგვარად ეჭვი შეიტანა გულწრფელობაში ჩვენი ხელოვნებისა, ბატონი ჭაბუასი და ჩემი. მე ვუთხარი კიდევაც, ახლა ისე დაველაპარაკე, მაგრამ რახან სიტყვამ მოიტანა, აქ ნათქვამი იყო, ახლაც ვიტყვი იმას, რომ მე ისეთ შთაბეჭდილება მაქვს, რომ მან ნახა სურათის ბოლო ნაწილი, როდესაც გმირები აფრინდნენ ცაში, სურათის 2/3 არ უნახია. იმისათვის, რომ აფრინდე, ძალიან დიდი შრომა უნდა გაიწიოს, ძალიან ბევრი რამე უნდა გაკეთდეს და ეს გმირები აკეთებენ ბევრ რამეს ისეთს და როდესაც ცოტა რადიკალურად მოაზროვნე ახალგაზრდა ადრე გარბის საკნიდან, ჭურიდან, სადაც უნდა მომზადდეს ყველაფერი, უფროსი აჩერებს მას და ეუბნება, რომ ვიმუშაოთ ჯერ აქ, ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი და მერე მოვა დრო და ჩვენ ავფრინდებით ცაში. (ხმა დარბაზიდან).

**თავმჯდომარე.** ვაცადოთ.

**ე. შენგელაია.** მე ვფიქრობ, რომ ბევრი რამ გასაკეთებელია. თუ შეიძლება ერთი წამით, ბოდიშს გიხდით.

**თავმჯდომარე.** ყურადღება იყოს.

**ე. შენგელაია.** ბევრი რამ არის გასაკეთებელი შიდა პოლიტიკაში. იმიტომ, რომ ეს ხელშეკრულება რუსეთთან და „სნგ“-ში გაწევრიანება გვაძლევს ხელს, გვიქმნის პირობას, რომ შევქმნათ ჩვენი სახლი, რომელიც არ არსებობს ახლა, მე რომ მკითხოთ, ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება სწორედ აქედან მომდინარეობს, რომ შიდა ჩვენი წესრიგი, შიდა ჩვენი წესი ცხოვრებისა, შიდა პრობლემები არის მოუგვარებელი. ამიტომ ჩვენი რეგიონალური გადაწყვეტილება, აი, ამ ხელშეკრულებით ხელს გვა-

გაგრძელება მე-7 გვ.

# ირანის წინადადების გამო კავკასიონის სამხრეთით მდებარე რეგიონის რამდენიმე ქვეყნის ერთობლივი სათავდაცვო სივრცის შექმნის შესახებ

## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ წამოაყენა წინადადება კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის ამიერკავკასიის ქვეყნების მიერ ერთობლივი სათავდაცვო სივრცის შექმნის ღონისძიებათა შესახებ.

სსფ თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლება დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში ვალდებული იყო, გაეცნო საზოგადოებისათვის როგორც ამ წინადადების კონკრეტული შინაარსი, ისე თავისი პოზიცია აღძრული საკითხის მიმართ და ფაქტობრივი უარის მოტივაცია. სახელდობრ, იგი ვალდებული იყო განეცხადებინა, რომ მიღებული შემოთავაზება საქართველოსთვის მიუღებელია იმიტომ, რომ შემოთავაზებული ერთობლივი თავდაცვის სისტემის ერთ-ერთ წევრად დასახელებულია სახელმწიფო, რომელიც დღეს საქართველოს მიმართ აგრესიის პოზიციაში დგას და მისი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას ახდენს — რუსეთი. ასეთი მოტივაცია თავისი უარისა ირანის წინადადების მიღებაზე საქართველოს აარიდებდა მისი ყოველგვარი სხვა მოტივაციის საჭიროებას, მათ შორის — ისეთი მოტივაციისა, რომელიც შეიძლება, უარყოფითად აისახოს საქართველოს ურთიერთობის განვითარებაზე რეგიონის რომელსამე ქვეყანასთან. ვარაუდობს რა, რომ რუსეთის აგრესიული სტრატეგიული ინტერესია ლეგიტიმური საბაბის მოპოვება კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე გეოგრაფიულ სივრცეში საკუთარი ინტერესების გაცხადებისა და გატარებისათვის, სსფ თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ზემოხსენებული პირდაპირი მოვალეობის არშესრულება არის იმის კიდევ ერთი მოწმობა, რომ თავის საგარეო პოლიტიკაში საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს რუსეთის ინტერესებზე ორიენტაციით და საქართველოს პირდაპირი სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

სსფ-ს მიაჩნია, რომ კავკასიონის ქედის სამხრეთით მდებარე რეგიონის ქვეყნებს შორის საჭიროა, არსებობდეს ურთიერთთავდაუსხმელობის მყარი გარანტიები და ყოველმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობის ატმოსფერო. რაც შეეხება ერთობლივ თავდაცვას ან მისი მოსამზადებელი პირობების შექმნას, იგი შესაძლებელია მხოლოდ ზემოხსენებული გარანტირებული ურთიერთთავდაუსხმელობის ფონზე და, იმავდროულად, დანარჩენი მსოფლიოს მიმართ პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და სტრატეგიული კურსის იდენტურობის პირობებში, რასაც პოზიციების მუდმივი ურთიერთშეჯერება და ძირითადი პრინციპების დროდადრო შეჯერება სჭირდება.

სსფ ვარაუდობს, რომ ძირითადი კურსი, რომელიც საქართველოსთვის ოპტიმალურია, — სახელდობრ, დასავლური დემოკრატიის აღმოსავლეთისკენ გავრცელების კურსი — ოპტიმალურად იქნება მიჩნეული რეგიონის ყველა სახელმწიფოს მიერ.

5.05.2003

# ევროპასა და ატლანტიკაში ახალი ურთიერთობები ისახება?

„ფაინენშელ ტაიმსის“ ავტორები პარკერი და დემფსი თვლიან, რომ ევროკავშირში 10 ახალი წევრის მიღება ცვლილებებს უქადის შიდაევროპულ ურთიერთობებსაც და ევროპულ-ამერიკულსაც. ახალი ევროკავშირი მოიცავს 25 წევრ სახელმწიფოს და 450 მილიონ ადამიანს. მისი ეკონომიკა შეერთებული შტატებისას უდრის (დაახლოებით) მოცულობით. 10 ახალი წევრიდან 8 ყოფილ საბჭოთა ბლოკს ეკუთვნის. მათი შესვლა კავშირში ძალიან რთულ მომენტს ემთხვევა — გადანყვეტილებისა და, თუ გადაწყდა, გზების ძიებას, რომ ევროპამ თავისი საგარეო პოლიტიკა ერთობლივად და შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებლად განსაზღვროს. ერთი კითხვა, რომელიც დგას, სწორედ ამას ეხება. აქამდე აშშ დიდ ძალისხმევას ხარჯავდა ევროპის გამთლიანებისთვის. ხომ არ დაადგება იგი ახლა, პირიქით, „დაყავი და იბატონეს“ პრინციპს ევროპასთან მიმართებაში, რომლის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, როგორც ცნობილია, მას „უგანა“ ერაყის ძალიან მძიმე პრობლემის გადაჭრის პროცესში? მეორე კითხვაა: ძველი 15 და ახალი 10 წევრი ხომ არ ჩამოყალიბდება „ძველ“ და „ახალ“ ევროპად, რომელთაც კოლექტიური და ერთმანეთში მეტ-ნაკლებად განსხვავებული ინტერესები და პოლიტიკური ხაზი ექნებათ?

საფრანგეთი, შირაკის სახით, შიშობს, რომ ახალი წევრების მიღებამ და ამ გზით ევროკავშირის გაფართოებამ (რითაც, სხვათა შორის, მცირდება გერმანია-საფრანგეთის წამყვანი როლი ამ გაერთიანებაში) შეიძლება ევროკავშირი „ფომფლო“ გახადოს. თუმცა ეს შიში დამალულია საპარადო „ფასადის“ უკან, რასაც ქმნის საზეიმო განცხადებები ახალი 10 წევრის მიღების „ისტორიულ მნიშვნელობაზე“, ერაყის კრიზისმა გამოიწვია დაეჭვება იმაზე, თუ რამდენადაა კავშირის ყველა წევრი თავის პოზიციით (და არა გეოგრაფიით) „ჭეშმარიტი ევროპელი“, და იმის შეხსენების აუცილებლობა, რომ 8 ახალ წევრს ამერიკელთა მადლიერება ჰმართებთ იმ დახმარების გამო, რომელიც ამ უკანასკნელებმა საბჭოთა კავშირისაგან თავის დახსნაში გაუწიეს. შირაკმა დიდი გაკვირვება და უკმაყოფილება გამოთქვა აღმოსავლელი წევრების მიმართ იმის გამო, რომ მათ მხარი დაუჭირეს ამერიკელთა ნაბიჯს ერაყში, და ეს განცხადება ისეთი ფორმით გააკეთა, რომ ადრესატმა სახელმწიფოებმა ეს იწყინეს. ბუნებრივია, რომ დღეს, როცა ერაყში პოლიტიკის ამერიკულმა ხაზმა გაიმარჯვა, შირაკი თავის მოთხოვნებს ძველი ფორმით ველარ აყენებს, მაგრამ იგი გამჭვირვალედ მიანიშნებს ხსენებულ სახელმწიფოებს, რომ მათი მხარდაჭერა ომისადმი მათ კვლავაც მინუსად რჩებათ.

ახალი წევრების შესვლით იცვლება ხმების ბალანსი ევროკავშირში, სახელდობრ,



საფრანგეთის მიმართულების ხმებს თუ ახლების ხმებიც შეემატა, მათ დიდი უმრავლესობა ექნებათ. მაგრამ საფრანგეთის პოზიციას სხვა ძველსა და ახალ წევრებში ნაკლები მოწონებით ხვდებიან. ამერიკელების უდიდესი როლის გარეშე მათ არ წარმოუდგენიათ ევროპის საგარეო-პოლიტიკური კურსის — რაგინდარა ერთსულოვანის — წარმართვა. ასე რომ, მიუხედავად ძველ და ახალ წევრთა საერთო შეხედულებებისა საგარეო პოლიტიკის არაერთ საკითხზე (მაგ. იმაზე, რომ ერაყის აღდგენაში გაეროს დიდი როლი უნდა ჰქონდეს და რომ ახლო აღმოსავლეთში შერიგება უნდა მოხდეს), ძირითად საკითხში — ამერიკელებთან ურთიერთობის ფორმის საკითხში — მათ შორის ერთობლივი პოზიციის დაკავების პერსპექტივა არ ჩანს. „ძველი ევროპის“ ქვეყანათა ჯგუფის (გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი) ესოდენ არაატლანტისტურ (ანუ ამერიკელთა როლის უარმყოფელ) პოზიციას ერაყთან მიმართებაში სხვა ქვეყნები ცუდად უყურებენ, მიაჩნიათ, რომ ამით ხდება სოლის ჩარჭობა ამერიკელებსა და დასავლეთ ევროპელებს შორის და ნატოს დასუსტება. მას შემდეგ, რაც ტერორიზმთან საბრძოლველად აზიაში აშშ-ს შესვლის პროცესში ნათელი გახდა, რომ ამერიკელების პოლიტიკა აზიაში უფრო ერთმხრივი, ანუ მხოლოდ საკუთარ ძალებზე და არა ევროპელ მოკავშირეებზე დაყრდნობილი იქნება, ნატოს საერთაშორისო წონის ნელი კლების პროცესი მიმდინარეობს, საზოგადოებრიობის თვალში მაინც. შირაკმა უთხრა ლატვიის პრეზიდენტს ქალბატონ ვაირა ვიკე-ფრაიბერგას, რომ ნატოს მნიშვნელობა აღარ აქვს, რითაც „შოკი მოჰგვარა“, ავტორთა სიტყვით, ნატოში ახალშესული პატარა ქვეყნის მეთაურს.

საფრანგეთის ანტიატლანტისტურ პოლიტიკას თავისი დამასაბუთებელი მოსაზრება აქვს (და მას შევეხებით ამ ნომერში ქვემოთ. რედ.). რაც შეეხება გერმანიას, რომელიც ევროკავშირის ყველაზე დიდი სახელმწიფოა და საფრანგეთთან ერთად მისი ლიდერია, იგი, ერაყის კრიზისის მიუხედავად, კვლავაც ხაზს უსვამს თავის ატლანტისტურ ერთგულებას, რაც სრულებითაც არ უშლის ხელს მის აქტიურ ძალისხევას ევროპის ინტეგრირების (გამთლიანების) მიმართულებით. ეჭვს, ხომ არ შექმნიან ერაყის კრიზისში ამერიკული პოზიციის მოკამათე ძირითადი სახელმწიფოები — გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი — ერთგვარ კავშირს, „ღერძს“ სამომავლოდ, გერმანელები კატეგორიულად უარყოფენ. რაც შეეხება ახალმიღებული მცირე სახელმწიფოების პოლიტიკას, ადვილი შესაძლებელია, რომ მათ სხვადასხვა ბლოკები შეკრან (რისი სრული უფლებაც აქვთ) და ამ ბლოკებში „ძველი ევროპის“ პატარა სახელმწიფოებთანაც კავშირში აღმოჩნდნენ. ევროკავშირში ამჟამად შემავალი ახალი სახელმწიფოები არ მალავენ, რომ ამ ორგანიზაციაში თავისი მდგომარეობის საბოლოო განმტკიცების შემდეგ არაერთ საკითხზე „საკუთარი აზრი“ ექნებათ.




## ფიდელ — კასტრო ფოკუსში

კლინტონის დროს კუბელ დიქტატორს თავის სამფლობელოში დაშვებული ჰქონდა „სიმბოლური“ დისიდენტობა, რადგან კლინტონი სიმპათიას არ იჩენდა მისი მტრებისადმი და აქედან კასტრო ასკვნიდა, რომ ამერიკელი პრეზიდენტი მის წყენას არ ეცდება. ახლა კასტრომ ახალგაზრდობა გაიხსენა. მან 78 დისიდენტი გაასამართლა და თითოს, საშუალოდ, 20 წლის ციხე მისცა. ესენი არიან სხვადასხვა მიმართულების დემოკრატები, თავისუფალი ჟურნალისტები და ადამიანის უფლებათა დამცველები. სამი კვირის მანძილზე ისინი მოკრიბეს და გაასამართლეს პროცესებზე, სადაც უცხოელი ჟურნალისტები არ დაუშვეს. მათი უმრავლესობა პროვინციის მაცხოვრებელია (რაც, THE ECONOMIST-ის აზრით, კასტროს განსაკუთრებით აწუხებს). ბრალდება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი შეთქმულნი იყვნენ ამერიკელ დიპლომატებთან კასტროსა და რევოლუციის წინააღმდეგ. პროცესებზე მოწმეებად ფიგურირებდა კუბის უშიშროების ორგანოთა 8 აგენტი, რომლებიც „ჩანერგილნი“ იყვნენ დისიდენტურ მოძრაობაში, მათ შორის ვინმე ოსვალდო პაია, რომელსაც ამ ერთი წლის წინ ევროკავშირის სახაროვის სახელობის პრემია მიენიჭა, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველს. ჟურნალის აზრით, ამ უკანასკნელ დეტალს კასტროს ჩანაფიქრში მნიშვნელოვანი როლი აქვს მიკუთვნებული — მისი მიზანია დარჩენილ დისიდენტთა შორის ურთიერთუნდობლობის დათესვა და ამით მათი მოძრაობის დასუსტება.



რატომ ინება უკვე ხანდაზმულმა კასტრომ თავისი ახალგაზრდობის ესოდენ დრამატული გახსენება? ჟურნალის აზრით, ამის მიზეზი კუბაში კი არა, შეერთებულ შტატებში უნდა ვეძებოთ. კლინტონისგან განსხვავებით, ბუში სიმპათიით ეკიდება კასტროს პირად მტრებს, რომელნიც შტატებში ცხოვრობენ, და ზოგი მათგანი სახელმწიფო სამსახურშიც კი ჰყავს. კუბაში აკრედიტებული ამერიკელი დიპლომატი კასონი დისიდენტებს გულს უჩვენებდა და თავის ბინაშიც კი კრებდა. ყოველივე ამაში კასტრომ ბუშის ანტიკუბური ზრახვა ამოიკითხა და ზომები მიიღო. მართალია, ამ ნაბიჯს ის მოჰყვება, რომ შეერთებული შტატების კონგრესი აზრადაც არ გაივლებს კუბის წინააღმდეგ მიმართული ამერიკული ემბარგოს მოხსნას და კუბის კომერციული პარტნერებისგანაც პროტესტი პროტესტზე მოდის. მაგრამ ამას, ჟურნალის აზრით, კასტროსთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან კასტროს პირველი საზრუნავი ისაა, რომ თავის კუნძულზე სრული ბატონობა ჰქონდეს ხელთ, მეორე ისაა, რომ ვერ გაიხარონ მისმა მტრებმა ვაშინგტონსა და მაიამიში, ხოლო ყოველივე სხვა, კომერციული პარტნერებისა და მსოფლიოს აზრის ჩათვლით, მესამე და შემდგომი რიგის ინტერესთა რიცხვში თავსდება.

## ბრიტანულ-ფრანგული გიგანტური პროექტი

როგორც გვატყობინებს FINANCIAL TIMES, ინგლისელები აშენებენ ულტრა-თანამედროვე ავიამზიდს, რომელიც 2,8 მილიარდი ფუნტი ჯდება. ამ შეკვეთის სამუშაოთა ნაწილს აძლევენ ფრანგულ ფირმას, სამაგიეროდ მოელიან, რომ ფრანგებიც თავისი რიცხვით მეორე ავიამზიდის მშენებლობისას, რომელიც დაგეგმილი აქვთ, ბრიტანულ ფირმებს უწილადებენ შეკვეთებს სამუშაოთა რაღაცა ნაწილზე. მაგრამ ორი ქვეყნის უთანხმოებამ ერაყის ომის საკითხზე დაბრკოლება შეუქმნა მათს თანამშრომლობას ამ საკითხში, რადგან ძნელია სამხედრო საიდუმლოებათა ნდობა იმისთვის, ვისთანაც პოლიტიკური უთანხმოება გაქვთ და ვინც ზურგს აქცევს თქვენს ომს. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, მოსალოდნელია, რომ ინგლისურ-ფრანგული ურთიერთობა არ გაფუჭდება და პროექტსაც შეფერხება არ ექნება.



ასეთი იქნება ბრიტანეთის ახალი ულტრათანამედროვე ავიამზიდი

# ერაყის ომის შედეგები – ძირითად ხაზებში




THE ECONOMIST

„ერაყის ომი ჯერაც სავსებით არ დამთავრებულა, მასობრივი განადგურების იარაღი იქ ჯერაც არ უპოვიათ, მაგრამ რაკი ბაღდადის გარეუბნის შიიტებმა ომის მესამე კვირის დამლევს უკვე გაბედეს ბაღდადის გარეუბანთა ქუჩებში სიხარულით ცეკვა, ეს იმას ნიშნავს, რომ რეჟიმი მკვდარია. ამას ესალმებიან სხვა ერაყელებიც — პირველ ყოვლისა ქურთები, აგრეთვე სუნიტი უმცირესობის (ეს ერაყის გაბატონებული ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფია. რედ.), დასკვნა ნათელია — ეს არის განთავისუფლება და არა „განთავისუფლება", როგორც დიდხანს გვიმტკიცებდნენ სკეპტიკოსები. ამ ომმაც, ისევე როგორც ყველა სხვამ, თავისი წილი საშინელება მოიტანა, მაგრამ მას ის ღირსება მაინც ჰქონდა, რომ მოკლე იყო".

რა აქვთ სათქმელი კრიტიკოსებს? იქნება ძარცვა, განუკითხაობა, ანგარიშსწორება ერაყში. მოკავშირეები ცდილობენ ლიბერალური დემოკრატიის დამყარებს იქ, სადაც ამისთვის არანაირი წანამძღვარი არ არსებობს. ომით დაზარალდა უშიშროების საბჭოს პრესტიჟი და მდგომარეობა, არაბთა თავმოყვარეობა, ამერიკა-ევროპის ურთიერთობები და ისლამთან დასავლეთის ურთიერთობები.

არის საშიშროება, რომ, რაკი ამერიკელები კვლავ დარწმუნდნენ თავიანთი სწრაფი მახვილის სიბასრეში, ისინი ადვილად გადაწყვეტენ მის გამოყენებას სხვაგანაც. და ა.შ. და ა.შ. ყველა ეს მსჯელობა სამართლიანია. მაგრამ არის მეორე მხარეც, ამ მინუსთა საპირწონე, რომელიც გადასწონის მათ. ერაყელი ხალხი განთავისუფლდა საშინელი ტერორისგან. წამების კამერები დაცარიელდა. ათასობით ერაყელები დაიღუპნენ ომში, მაგრამ სადამის რეპრესიებს 100 ათასზე მეტნი ემსხვერპლნენ და მის უაზრო ომებში ნახევარი



მილიონი დაიღუპა. დღეს ერაყს შეუძლია, უკეთესი მომავლის იმედი ჰქონდეს, რადგან იმაზე უარესი ხვედრი, ვიდრე ჰქონდა, მას ველარ ექნება. ნავთობი ერაყს მომავალში სიმდიდრეს მოუტანს. ასეთია ჟურნლის შეფასება.

გარდუვალია ერაყში სისხლიანი შურისძიების პერიოდი მომხდარი რეპრესიების გამო. სექტებს შორის ღრმა კონფლიქტია, რომელიც თავის სიტყვას იტყვის. იქნება არაბებისა და ქურთების შეჯახება. თვით ქურთებში შეიძლება განახლდეს კონფლიქტი (თალაბანისა და ბარზანის ჯგუფებს შორის). შესაძლებელია შიიტებისა და სუნიტების, ან რელიგიაზე ორიენტირებულებისა და საერო პოლიტიკაზე ორიენტირებულების დაჯახება. ამერიკელებს ერაყელები ძნელად თუ აღიარებენ მხსნელებად. მათ ჯერ ახსოვთ, როგორ მიატოვა ისინი უფროსმა ბუშმა 1991 წელს, როცა მისგან დაიმედებულნი სადამს აუჯანყდნენ. ამერიკა სძულთ, როგორც ეკონომიკური სანქციების ინიციატორი და პალესტინაში სიონიზმის ზურგის მიმცემი. მომხდარი ომისა და დამარცხების გამო არაბულ სამყაროში სირცხვილი და რისხვა სუფევდა, მაგრამ ახლა ხედავენ, რომ ბევრ მათ თანამემამულეს ამერიკელთა ხელით განთავისუფლება მაინც ურჩევნია სადამის რეჟიმის ქვეშ ყოფნას. „სადამ ჰუსეინის ძეგლის ჩამოგდება, რომელიც ტყუპი კოშკების დაცემას აგონებს მაყურებელს, ისეთი ხდომილებაა, რომელიც მილიონთა აზროვნებასა და მოქმედებას განსაზღვრავს".

თუმცა ბუშმა ომი ერაყელების ხათრით კი არ დაიწყო, არამედ ამერიკელთა დაცვის მიზნით (რადგან სადამისთანა კაცის ხელში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა მათთვის სახიფათო იყო), დღეს ბუშის მთავარი ფოსტა, მისი პოლიტიკური მომავლის მთავარი განმსაზღვრელია, მოიგებს თუ ვერ მოიგებს იგი მშვიდობასაც, როგორც ომი მოიგო. თუმცა ეს ძალიან ძნელია (ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო), შესაძლებელია, რომ ამერიკელებმა ამ ამოცანის გადაჭრა შეძლონ. ჯერჯერობით, ბუშის ნაბიჯები ამ მიმართულებით ისაა, რომ მან განაცხადა, ერაყელებს თავისი ქვეყნის მართვის უნარი აქვთო და იზრაელ-არაბული მშვიდობის დამყარებას ენერგიულად ვეცდებიო.

იმათი პოზიცია, ვინც ცდილობდა ამერიკელებისთვის ომის დაწყება შეეშალა, ამჯერადაც ბუშს დაბრკოლებას უქმნის. საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი ითხოვენ გაეროსთვის გადამწყვეტი როლის მინიჭებას ერაყის სახელმწიფოს აღდგენასა და მოწყობაში. ამ პოზიციის სასარგებლოდ, ჟურნალის აზრით, მართლაც ბევრი საბუთის მოყვანა შეიძლება. ჯერ ერთი, გაეროს აქვს დიდი გამოცდილება და ჰყავს ერთგული პროფესიონალები. მეორეც, საერთაშორისო ორგანიზაციის ჩაბმით ერაყის პროცესებში ამერიკელები უჩვენებენ მსოფლიოს, რომ უფრო ფართო ინტერესებით ხელმძღვანელობენ თავის მოქმედებაში, ვიდრე მათი კერძო მოგებაა. მესამეც, გაეროს მიერ შექმნილი მდგომარეობა და ხელისუფლება არაბებისთვის უფრო სანდო იქნება, ვიდრე ამერიკელთა შექმნილი. მეოთხეც, გაეროს ჩაბმით შევიწროვდება ის ბზარი, რომელიც ამერიკელებსა და მათს ევროპელ მოკავშირეებს შორის გაჩნდა ომის მზადების ხანაში. მიუხედავად ყოველივე ამისა, ჟურნალს მიაჩნია, რომ ამერიკელებმა არ უნდა დაუთმონ შირაკის და მისი გერმანელი და რუსი თანამოაზრეების პოზიციას, რომლებიც მეტს ფიქრობენ ამერიკული გავლენის შესუსტებაზე მსოფლიოში, ვიდრე მის მხარდაჭერაზე ერაყის დემოკრატიისა და წესრიგის შექმნის საქმეში.

## „ფაინენშელ ტაიმსის" აზრი

ბუშის ერთ-ერთი მონაგარი ახალდამთავრებულ წარმატებულ ომში ერაყის წინააღმდეგ ის არის, რომ მან ამ ომით პოლიტიკური პოზიცია გაიძლიერა, რამაც მას, ლოგიკურად, საშუალება მისცა კონგრესს მიაღებინოს გადაწყვეტილება. გადასახადების შემცირების შესახებ ჯამურად 726 მილიარდი დოლარით რამდენიმე წლის მანძილზე. შემდეგ მან „რეალობას დაუთმო" და თავისი მოთხოვნა „550 მილიარდი დოლარამდე მაინც" შეკვეცამდე დაიყვანა. მაგრამ ვიდრე იგი ერაყის ომში იყო ჩართული, აშშ სენატორებმა დაახლოებით 1 თვის წინ გაატარეს დადგენილება, რომლითაც ზემოხსენებული დაკლების თანხას დაუწესეს ზედა ზღვარი — 350 მილიარდი დოლარი. „კომპრომისული" ციფრი კონგრესის ზედა პალატისა (სენატის) და ქვედა პალატის პოზიციას შორის ალბათ იქნება 350 და 550 მილიარდს შორის. გაზეთი მკაცრად აკრიტიკებს პრეზიდენტს იმისთვის, რომ იგი, მისი სიტყვით, პოლიტიკური ამოცანების მიღმა უგულებელყოფს ეკონომიკურს და გრძელვადიან სახელმწიფო ინტერესების ნაცვლად ხელმძღვანელობს მხოლოდ სადღეისოთი.

# რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, ალბათ, ერაყის ბედს აღარ განსაზღვრავს

ეს გახლავთ ერაყის ნავთობი, რომელიც, ძირითადად, მის ჩრდილოეთ პროვინციებში ძევს. მარაგი — 112 მილიარდი ბარელი — მეორეა მსოფლიოში. ნავთობის ორი ცენტრიდან ერთში (ქ. კირკუკი) მოსახლეობა ძირითადად ქურთულია მიუხედავად ამ არე-მიდამოს „არაბიზაციის" ანუ ქურთების განდევნა-გასახლების პოლიტიკისა, რომელსაც სადამ ჰუსეინი ატარებდა. მეორეც — ისტორიული ქალაქი მოსული — ქურთული ზონის უშუალო მეზობლობაში მდებარეობს. თუ ერაყის პირველი ომის დროს ჰუსეინის ხელისუფლებამ უზარმაზარი ზიანი მიაყენა თავის ნავთობის მრეწველობას (ცეცხლი წაუკიდა ჭაბურღილებს), ამჯერად, როგორც გვატყობინებს „ფაინენშელ ტაიმსი", ეს არ მომხდარა. კირკუკში ნავთობის საწარმოები შეუფერხებლად მუშაობდნენ ჯერ კიდევ ორი საათით ადრე მანამდე, სანამ იქ ქურთული ლაშქარი შევიდოდა (მკითხველს ახსოვს, რომ ამ ომში ეს ლაშქარი ამერიკელი მედესანტეების დახმარებით მოქმედებდა და მოქმედებს). ამჟამად მუშაობა გაჩერებულია და დღე-დღეზე მის განახლებას ელიან.

კირკუკის სანავთობე წარმოებაში დასაქმებულია 10000 კაცი, რომელნიც ახლა შიშობენ, რომ წარმოების გარდუვალმა გადახალისებამ მათ სამუშაო ადგილები არ შეუმციროს. დიდი ნაწილი კვირაში 5 დოლარად მუშაობს. სადამ ჰუსეინის ხელისუფლებას, მათი სიტყვით, მათი თავი სჭირდებოდა, რადგან სპეციალისტები არიან, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათ შორის ყველა იმის „გაქრობას", ვინც ხელისუფლებისთვის არასასურველ რასმე გაბედავდა. კირკუკი ოდესღაც ნავთობის ტბაზე იდგა და მიწის ზედაპირზე აქა-იქ ბუნებრივი ცეცხლები ენთო, სანამ ბაბილონელებმა არ დაიწყეს ნავთობის ფისის გამოყენება სასიარულო გზების გასამართავად თავიანთ სასახლეებში. 69 წლის ექსპლოატაციამ ეს ტბა ლამის დააშრო, ასე რომ დღეს კირკუკის მარაგი ერაყის მთელი მარაგის 10%-ლაა. მის ამოტუმბვას დღეს წყალი და გაზი სჭირდება, რაც მას აძვირებს და ინვესტიციების ორწლიან შეჩერებასაც კი საბადოსთვის სახიფათოს ხდის.

საინტერესოა ციფრები, რომელიც გაზეთს მოჰყავს. 1991 წლის ომამდე ერაყის მთელ ჩრდილოეთში ნავთობის მოპოვება უდრიდა 1,2 მილიონ ბარელს დღეში. ომის შემდეგ (მიუხედავად სანქციებისა ექსპორტის შეზღუდვის სახით!) იგი მხოლოდ 0,5 მილიონით ჩამოქვეითდა და 2001 წლისთვის ისევ 1 მილიონამდე აიწია. სრული აღდგენა-განვითარების შემთხვევაში იგი 2005 წლისთვის მიაღწევს 3 მილიონს და კიდევ გაორკეცდება 2010 წლისათვის. ნავთობის ექსპორტი ერაყისთვის დიდი ფულის მოპოვების ერთადერთი შესაძლებელი წყაროა.

მაგრამ ნავთობი აღარ არის ერთადერთი წყარო დასავლეთის ზეგანვითარებული ქვეყნების ინტერესისა ერაყისადმი. აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა უკვე დიდი პოლიტიკის ასპარეზზე ქურთული ფაქტორის გამოსვლის პრობლემა და პერსპექტივა. მკითხველმა იცის, რომ მთლიანად რეგიონში 25-27 მილიონი ქურთი ცხოვრობს, კომპაქტურად დასახლებული ირანის, თურქეთის, ერაყისა და სირიის ურთიერთმიმდებარე ტერიტორიებზე. ერაყის ახალდამთავრებული ომის დროს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სათუო საკითხი იყო ის, თუ საით წარიმართებოდა ამერიკული პოლიტიკა ამ ახალ ფაქტორთან დაკავშირებით: ამერიკელები უგულებელყოფდნენ ქურთებს მათი 50-80 ათასიანი [illegible]სუნარიანი მსუბუქად შეიარაღებული არაოფიციალური არმიითურთ და ამით თურქეთს მოიმადლიერებდნენ თუ, პირიქით, ორიენტაციას აიღებდნენ ამ არმიაზე, როგორც თავის მოკავშირეზე, მაგრამ სამაგიეროდ სასიკვდილოდ მოიმდურებდნენ თურქეთს. ამერიკელებმა, როგორც ჩანს, მეორე გზა აირჩიეს და, უნდა ვიფიქროთ, ეს ერთერთი ან ძირითადი მიზეზი გახდა იმისა, რომ თურქეთისგან ამ ომში მისი ტერიტორიის გამოყენებაზე უარი მიიღეს.

ასე რომ სტრატეგიული ინტერესები, რომლებიც ეხება არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთს და მის სანავთობე რესურსებს მთლიანად, არამედ უფრო ფართო არეალსაც, შესაძლებელია დღეს კონკრეტულ ცალკე საბადოებთან დაკავშირებულზე უფრო ძლიერი იყოს.

# როგორ აეწყობა ერაყი და ვისი ხელით?

გაზ. „ფაინენშელ ტაიმსი" მოგვითხრობს ერაყის ახალი ხელმძღვანელობის შექმნის ერთგვარი საინიციატივო ჯგუფის შეხვედრის ამბავს, რომელიც 15 აპრილს შედგა ამერიკელების მიერ დანიშნული გადამდგარი გენერლის ჯეი გარნერის თავმჯდომარეობით. გარნერის ამოცანაა ორგანიზაცია გაუკეთოს ერაყის რეალური დემოკრატიული და დემოკრატიის თვალსაზრისით მისაღები ძალების თავშეყრას, შეთანხმების მიღწევას ახალი ერაყის ხელისუფლების აღნაგობის ძირითად ფორმებზე და არჩევნების ჩატარებას. მკითხველმა უკვე იცის, რომ ერაყიდან ემიგრირებულ 4 მილიონ ადამიანს შორის უკვე კარგა ხანია გამოირჩა პოლიტიკურად აქტიური ჯგუფი, რომელიც ამერიკის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებს ამ თემაზე. შეხვედრა შედგა კარავში, ამერიკელი ჯარისკაცების დაცვით, ქ. ნასირიის მახლობლად, ხოლო ქალაქის ქუჩებში ამ დროს მიმდინარეობდა 3000-კაციანი საპროტესტო დემონსტრაცია შეძახილებით „არ გვინდა სადამი! არ გვინდა ამერიკელები!".

შეკრება გახსნა ბუშის სპეციალურმა მრჩეველმა ხალიზადმა, რომელმაც აუდიტორიას სთხოვა, პატივი ეცა ომის დროს დაღუპულთა ხსოვნისათვის, და განაცხადა: „ჩვენ (ე. ი. ამერიკელებს) არ გვაქვს განზრახული ერაყის მართვა. ჩვენ გვინდა თქვენ თვითონ შექმნათ საკუთარი დემოკრატიული სისტემა, რომელიც დამყარებული იქნება ერაყულ ტრადიციებზე და ღირებულებებზე".

შეკრებაში მონაწილეობდნენ ომის მონაწილე ქვეყნების — ინგლისის, პოლონეთის და ავსტრალიის — დიპლომატები და ერაყული ემიგრაციის ხუთი ძირითადი პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლები, მაგრამ, როგორც განაცხადეს ამერიკის ოფიციალურმა პირებმა, მიწვეულთა სიაში მაინც უმეტესობას შეადგენდნენ ადგილობრივ საზოგადოებათა ლიდერები და არა ემიგრანტები. იყვნენ ქურთთა წარმომადგენლები. ორივე მთავარმა შიიტურმა ოპოზიციურმა პარტიამ უარი თქვა დასწრებაზე. არ მივიდა ზოგი სხვა პოლიტიკური ჯგუფიც. აზრები, რომელიც გამოითქვა დასავლელ დიპლომატთა და ხალიზადეს გამოსვლებთან დაკავშირებით, იყო „ერაყს სჭირდება საკუთარი ერაყული მთავრობა. ყოველივე სხვა იქნება კოლონიალიზმი", „რელიგია უნდა გაიყოს პოლიტიკისაგან", „ისლამი უნდა იყოს ერაყის ოფიციალური სარწმუნოება". მოლაპარაკებები გაგრძელდება. დიპლომატები იმედოვნებენ, რომ მთავრობა შეიქმნება რამდენსამე კვირაში და, გარდა ამისა, შეიქმნება 150-200 წევრიანი კრება, რომელიც იმუშავებს მართვის ახალი სისტემის გამომუშავებაზე.




# „ნატო ევროკავშირის პირისპირ“

ამ სათაურით ჟ. THE ECONOMIST აქვეყნებს ანალიზს, რომელიც დელიკატურსა და ამ რამდენსამე კვირაში ბუნებრივად წამოტივტივებულ თემას ეხება: რას იზამენ ახლა ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა ერაყის ომი არ დაეშვათ? მათი პირველი რეაქცია ამერიკულ-ინგლისური ძალების გამარჯვებაზე ცოტა არ იყოს არეული და უხალისო იყო. ევროპელებს აფრთხობთ ახალი იმპერიის გაჩენის პერსპექტივა ამერიკის სახით და მის დროზე „ალვირამოსადებად“ აყენებენ წინადადებას, რომ ომისშემდგომი ერაყი გაერომ განაგოს. რუსეთის, საფრანგეთისა და გერმანიის სურვილი, რომ ეს ასე მოხდეს, თავისი არგუმენტაციისთვის იმოწმებს საერთაშორისო სამართალს, მაგრამ რეალურად, ჟურნალის სიტყვით, აქ მათი საკუთარი ინტერესებიც ურევია, რამდენადაც რუსეთი და საფრანგეთი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, ვეტოს უფლებით აღჭურვილნი, და ამ საბჭოს პოლიტიკაზე დიდი გავლენის მოხდენა ძალუძთ. ბუნებრივია, რომ ევროპელები მიისწრაფიან ევროკავშირი აქციონ დამოუკიდებელ სამხედრო ძალად, რომელიც ევროპის დამცველი იქნება, ამერიკელებს კი ეს სწყინთ. ამიტომაც ამერიკელებმა მიმოქცევაში გაუშვეს იდეა, რომ ერაყში მემშვიდობის როლი ნატომ უნდა ითამაშოს, რაც, სხვათა შორის, ამერიკელებისთვის მომგებიანი იმითაც იქნება, რომ ეს იქნება ერთგვარი „მრავალმხრივი“ (ანუ მრავალი სახელმწიფოს მიერ ერთდროულად და შეთანხმებით გაწეული) თანადგომა ერაყში მომხდარი ბოლო ომისთვის.

ცხადია, რომ ნატოსა და ევროკავშირის ამბიციები, — რაკილა იგეგმება ევროპელთა ერთობლივი თავდაცვის ორგანიზება — ურთიერთწინააღმდეგობაში მოდის. დიპლომატებმა ბევრი ოფლი დაღვარეს ამ წინააღმდეგობის შენიღბვისათვის 1998 წლის აქეთ, მას შემდეგ, რაც პირველად გამოითქვა ევროპის მიერ საკუთარი კოლექტიური ძალების შექმნის გეგმა. მცირე მასშტაბით ეს უკვე განხორციელდა აპრილის დამდეგს, როცა მაკედონიაში რამდენიმე ევროპული ქვეყნის ძალებმა პატარა სამშვიდობო ოპერაცია შეასრულეს. მაგრამ, მეორე მხრივ, ფრანგები არ მალავენ თავის პროგნოზს, რომ მომავალში ევროძალები მეტნაკლებად ჩაენაცვლებიან ნატოს, რომელსაც ფრანგები ამერიკელთა საგარეო პოლიტიკის იარაღად თვლიან: მათ მიაჩნიათ, რომ ევროპულ-ამერიკულ ურთიერთობას გარდუვალად უწერია, რომ იგი ჩამოყალიბდეს „როგორც მოკავშირეობაზე დამყარებული ურთიერთობა, და არა მიმდევრობაზე“. ამ პროცესის განვითარებას, ჟურნალის სიტყვით, ორი შესაძლო პერსპექტივა აქვს. ან გერმანია, საფრანგეთი და რამდენიმე სხვა ევროპული ქვეყანა დაითანხმებენ ევროკავშირს ერთობლივი ძალების შექმნაზე, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ნატოზე, ან ეს ქვეყნები თვითონ შექმნიან რაღაც სამხედრო სტრუქტურას ნატოს გარეთაც და ევროკავშირის გარეთაც. როგორც ამას აღიარებს ნატოს ერთ-ერთი სარდალი, ევროპელთა მიერ ცალკე სარდლობის და სამხედრო სტრუქტურის შექმნა „დიდი გამყოფი ხაზია“ დღევანდელ პოლიტიკაში. ერთი არგუმენტი ამ წამოწყების საწინააღმდეგოდ არის მისი სიძვირე. მეორე (პირველთან დაკავშირებული) ისაა, რომ ევროკავშირს გაუჭირდება დიდი ტვირთამწეობის თვითმფრინავების და სხვა მძიმე აღჭურვილობის შეძენა მესამეა ის, რომ დიდი ფული დაჯდება ნატოს ხელთ მყოფი საშუალებების დუბლირება (როგორიცაა აეროდრომები და სხვა). მაგრამ, ჟურნალის სიტყვით, ამ მეტნაკლებად ტექნიკურ არგუმენტთა უკან ამერიკელების გონებაში სხვა წუხილი დგას: რატომ არიან ევროპელები ასე მონდომებულნი, რომ ამერიკელები გამოთიშონ თავისი სამხედრო დაგეგმვიდან?

თუკი საქმე მართლაც მივა „ხელის გადაწევის“ მატჩამდე ამერიკელებსა და ფრანგებს შორის, მაშინ, ჟურნალის აზრით, დიდი ალბათობაა იმისა, რომ გამარჯვებულნი ამერიკელები დარჩებიან. ნატოშიც და ევროკავშირშიც ფრანგები თავდაცვის პრობლემებთან დაკავშირებით უმცირესობაში არიან. ნატოს მთელი წყობა და სულისკვეთება „ღრმად ატლანტისტურია“. ერაყის ომამდე რამდენიმე კვირით ადრე საფრანგეთი რომ ითხოვდა, ნატოს უარი ეთქვა თურქეთის დახმარებაზე ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მესამე ძალის მიერ დარტყმის მიყენების შემთხვევაში (ეს იყო სტრატეგიული „თამაშის“ თემა, რომელიც ნატოს ქვეყნებმა მოაწყეს დარბაზის პირობებში, რათა თავისი შესაძლო პოზიციები, გუნება-განწყობილებები და პერსპექტივები გაერკვიათ. „საქართველომ“ დაბეჭდა მასალა ამ თემაზე. რედ.), მაშინ ნატოს 19 წევრიდან ფრანგებს მხოლოდ ორი მიემხრო (გერმანია და ბელგია. შედარებისათვის: ნატოს როლის გადიდებაზე მსჯელობას ავღანეთის ოპერაციის დროს ნატოს ცხრამეტივე წევრი მიემხრო).

დღეს ნატოს დიპლომატების უმრავლესობა ნაადრევად თვლის ერაყის დარეგულირებაში ნატოს შესაძლებელი როლის საკითხზე მსჯელობას, თუმცა ამ შესაძლებლობას არც ერთი მათგანი არ გამორიცხავს. ფრანგების ძალიან აქტიურ ძალისხმევას სათავდაცვო პოლიტიკის წასაყვანად ამერიკელებისთვის არასასურველი მიმართულებით ევროკავშირის მხრიდან თვალშისაცემად მცირე მხარდაჭერა ჰხვდება. ის, რომ გერმანია არ გაურბის ამ თემაზე შეხვედრას, იმის ნიშანია, რომ ეს იდეა სერიოზული განხილვის საგანია, რამდენადაც გერმანია ევროკავშირის ყველაზე დიდი ქვეყანაა და რამდენადაც იგი, საფრანგეთთან ერთად, ევროპის ინტეგრაციის უდიდესი მომხრეა. მაგრამ ევროკავშირის 25 წევრიდან ამ ბოლო ინიციატივას, რომელიც გამოვლინდა გერმანელთა, ფრანგთა, ბელგიის და ლუქსემბურგის წარმომადგენელთა „მინი-სამიტის“ სახით ბრიუსელში აპრილის ბოლო დღეებში, იგი გულგრილად ეკიდება. თუმცა, როგორც გვატყობინებს გაზ. „ფაინენშელ ტაიმსი“, ამ ოთხთა შეხვედრისთვის ევროკავშირის უშიშროების საკითხებზე ადრევე მხარი დაუჭერია ტონი ბლეირს. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული თავდაცვა ინგლისელთა გარეშე „აბსურდია“, სამხედრო ანალიტიკოსები შიშობენ, რომ ევროპული ინტეგრაციისკენ მიმართულმა ამ იდეამ შეიძლება, პირიქით, გამყოფის როლი ითამაშოს.


დიდი ტანკი ნატოსია, მცირე — ევროკავშირისა.

# „ფაინენშელ ტაიმსი“ დემოკრატიის შესახებ


საპროტესტო გამოსვლა ერაყში. მონაწილე ლოცულობს „არც ამერიკელები გვინდა, არც სადამ ჰუსეინი“.

ამჯერადაც, ისევე როგორც არაერთხელ სხვა დროს, ბრიტანული „ფაინენშელ ტაიმსი“ ფრთხილსა და ზრდილობიან პედაგოგიურ რჩევას აძლევს მავანთ და მავანთ, ვისაც დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი როლები აქვთ. ამერიკელ გადამდგარ გენერალს ჯეი გარნერს, რომელსაც ელის ერაყის დემოკრატიის გზით წამყვანის როლი (განზრახულია იყო მისი დაყენება აქაური ამერიკული ადმინისტრაციის მეთაურად. ეს არ მოხდა, მაგრამ წამყვანი როლი მას მაინც აქვს), გაზეთის სიტყვით, საკმაოდ მძაფრ სკეპტიციზმს იწვევს. „არის იმის განცდა, რომ ამერიკელებმა კარგად არ იციან, რაზე ლაპარაკობენ, როცა დემოკრატიის რეცეპტებს უწერენ სხვა ქვეყნებს“. ევროპის მემარცხენეები და საერთაშორისო მოძრაობები, დახმარების ორგანიზაციები და სხვა სამოქალაქო ჯგუფები, რომლებმაც „საერთაშორისო საზოგადოებრიობის“ სახელი მიიკუთვნეს, იმედოვნებენ, რომ თავისი მასობრივი პროტესტებით ევროპის, ამერიკისა და არაბული ქვეყნების დედაქალაქთა ქუჩებში მათ დემოკრატიის ახალსა და გაუმჯობესებულ ფორმას მიაგნეს. ამერიკული სტრატეგია დემოკრატიის გავრცელებისა სხვა ქვეყნებში მათ შედარებით ნაკლებ ეფექტიან მეთოდად მიაჩნიათ. ზოგნი ამ ამერიკულ პოლიტიკას ფარისევლურსაც უწოდებენ, რადგან ამერიკელებს არაერთი ეპიზოდი აქვთ წარსულში, როცა სხვა ქვეყნებში ხელი შეუწყიათ პოპულარულ რეჟიმთა დამხობისათვის ავტორიტარულთა სასარგებლოდ. წერილის ავტორი ამ არგუმენტის საპასუხოდ აღნიშნავს, რომ სხვაა არასასურველი რეჟიმების მხარდაჭერა მათი მოწონების გამო და სხვაა მათივე მხარდაჭერა იმის გამო, რომ გვეშინია, მათ ნაცვლად ჩვენთვის კიდევ უფრო საშიში და უფრო ავტორიტარული არ მოვიდეს. ამ მოტივით იყო, მისი აზრით, გამართლებული დასავლელთა მიერ პინოჩეტის გადატრიალების მხარდაჭერა, რაც ჩილეში პროკომუნისტური რეჟიმი დაამხეს.

ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა დემოკრატიის თანამედროვე მექანიზმებთან დაკავშირებით არის ასეთი კამათი: ერთნი ამბობენ, რომ „საყოველთაო ნების“ ყოველგვარი დაბრკოლება, ქუჩის მასობრივი დემონსტრაციების შეფერხებისა თუ უგულებელყოფის ჩათვლით, დემოკრატიის შელახვაა. მაგალითისათვის მოჰყავთ ერაყის ომის საწინააღმდეგოდ გამოთქმული მრავალმილიონიანი მასების ნება, რომელიც პოლიტიკოსებმა უგულებელყვეს. ავტორს მიაჩნია, რომ ასეთი კითხვის დასმის მასობრივმა ხასიათმა უნდა შეაწუხოს ამერიკელები და ინგლისელები, რომლებიც მოგებული ომის საფუძველზე ახლა ერაყის ახლებურ მოწყობას აპირებენ. მაგრამ, ავტორის აზრით, მანვე უნდა დააფიქროს ევროპის კონტინენტის ქვეყნებიც: ამ ფაქტში ხომ ის ჩანს, რომ ფეხს იკიდებს საშიში იდეა, დემოკრატია იმათ მმართველობას ნიშნავს, ვინც ქუჩაში უფრო დიდი ბრბოს გამოყვანას შეძლებსო.

## „მოგერიებისათვის მზად არ ვართ“

„ფაინენშელ ტაიმსი“ შეშფოთებას გამოთქვამს პარლამენტის მოხსენების გამო იმის შესახებ, რომ გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის სამსახურები არ არიან სრულყოფილად მომზადებულნი, რათა ქვეყანა ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიაციული ტერორისტული იერიშისაგან დაიცვან. აქ ნათქვამია, რომ შესაბამის უწყებებს შესაძლებელია საფრთხის „სრული სურათიც“ კი არა აქვთ ხელთ. ერთ-ერთ მთავარ სისუსტედ მიჩნეულია კავშირგაბმულობის ნაკლოვანება სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილებს შორის. აკლიათ აგრეთვე სამედიცინო აღჭურვილობა, ვაქცინები, ანტიბიოტიკები და სხვა მასალები. საჭირო მასალათა დაგროვება-დასაწყობება და პერსონალის დახელოვნების ღონისძიებები ტარდება ადგილობრივ, რეგიონალურ (რაიონულ) და ზოგადეროვნულ დონეზე.

## ამერიკელები სირიას აფრთხობენ

თუმცა ამერიკელები სირიას მხოლოდ ეკონომიკური და დიპლომატიური ზომებით ემუქრებიან (იმ საფუძველზე, რომ სირია ბაღდადელ დიქტატორებს იფარავს, ტერორისტულ ჯგუფებს მასპინძლობს, ქიმიურ იარაღს ცდის და ჰუსეინს მხარს უჭერდა), მაინც ვრცელდება შიში, რომ ამერიკელები თავის „წინმსწრები დარტყმის“ დოქტრინას ბაღდადის შემდეგ დამასკოზედაც გაავრცელებენ. ამ ფონზე სირიისადმი მეგობრული გრძნობების აფიშირებას განსაკუთრებით აქტიურად ეწევა ესპანეთის ლიდერი ხოსე აზნარი, რომელიც ერაყის ამ ომის დროს ამერიკელების ერთ-ერთი ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერი იყო. „ფაინენშელ ტაიმსი“ ფიქრობს, რომ ამ ზეწოლას ამერიკელების მხრიდან შეიძლება აზრი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნაწილია არაბულ ქვეყნებსა და იზრაელს შორის მორიგების მიღწევის გეგმისა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ამერიკელებმა ზეწოლა უნდა მოახდინონ იზრაელზეც. რა მოეთხოვება ასეთ შემთხვევაში სირიის ლიდერს ასადს? მან უნდა აჩვენოს, რომ იგი ჰუსეინის გამეორება არ არის, და, სხვათა შორის, მიიღოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპები.

## ერაყი დაჩრდილავს აფრიკას

იმ ზღვა სისხლის დამღვრელი არეულობების შემდეგ, რომლებიც აფრიკაში ჩუმად და მსოფლიოსგან დიდი ყურადღების მიუქცევლად მიმდინარეობს უკვე რამდენიმე წლის მანძილზე, შავ კონტინენტზე 3 მილიონი ლტოლვილი არსებობს. მათს გასაჭირს აძლიერებენ გვალვებიც, რომლებიც აქ უკვე მრავალი წელია მძვინვარებენ და მასობრივ შიმშილს ქმნიან. „ფაინენშელ ტაიმსისათვის“ ნაირობიდან (კენია) გაგზავნილ წერილში გამოთქმულია შიში, რომ ერაყში (სადაც მოსალოდნელი იყო ომის შედეგად 4 მილიონი ლტოლვილის გაჩენა, მაგრამ არ გაჩნდა), მომხდარმა დრამატულმა ამბებმა შესაძლებელია მსოფლიოს აფრიკა დაავიწყონ, რასაც მისი მოსახლეობისადმი პროდუქტების დახმარების პროგრამათა შეწყვეტა ან შეკვეცა მოჰყვება. ??წფპ-ის (საკვების მსოფლიო პროგრამის გამოთვლით, აფრიკაში დღეს 40 მილიონი სულია, რომელიც დაუყოვნებლივ სასურსათო დახმარებას საჭიროებს, მაგრამ ვერ იღებს.

# აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო

უკანასკნელ წლებში საქართველოს სამხედრო მშენებლობის სფეროში შედარებით გააქტიურდა აშშ და მისი თავდაცვის სამინისტრო. მაგრამ პენტაგონის გააქტიურება, ჩვენი აზრით, მაშინ შესაძლოა ყოფილიყო სასარგებლო, თუ კი თავად ჩვენი შესაბამისი სტრუქტურები და მათში ამინდის შემქმნელი თანამდებობის პირები იქნებოდნენ დაინტერესებული თანამედროვე სამხედრო საქმის, მისი ისტორიის, სამხედრო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, სამხედრო მრეწველობისა და სამოქალაქო თავდაცვის ფუნდამენტური და აქტუალური საკითხების საფუძვლიან შესწავლაში, წმიდა ილია მართლის თქმით — უცხოური გამოცდილების ჩვენი ეროვნული ცნობიერების ქარცეცხლში გატარებასა და მისი სასარგებლო პრაქტიკის ქართულ ნიადაგზე გადმოტანაში. მაშინ უსათუოდ დაგვებადებოდა შეკითხვა — თუ კი 5-მილიონიან ფინეთს საკუთარი სახმელეთო ჯარების საბრძოლო შემადგენლობაში ჰყავს ასზე მეტი საბრძოლო ბატალიონი (ოთხი სატანკო, ორი-ოთხი მოტოქვეითი, 40 ეგერთა ქვეითი (მსუბუქი მექანიზებული) და 56 ქვეითი), 60-80 საველე საარტილერიო დივიზიონი, 35-40 საზენიტო დივიზიონი, ოთხი ცალკეული საინჟინრო ბატალიონი, ადგილობრივი (ტერიტორიული) თავდაცვის ჯარების 150 ცალკეული ბატალიონი და ასეული, ტერიტორიათა და მოსახლეობით ფინეთის თანაზომადი საქართველო როგორც შეძლებს ამერიკელების მიერ აღჭურვილი და გაწვრთნილი ოთხი მსუბუქი ქვეითი ბატალიონით საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფას? თუკი ფინელებს სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში გააჩნიათ 1060-ზე მეტი მოჯავშნული მანქანა და 1940-მდე საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, მაშინ საქართველო ეუთო-ს ეგიდით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით მისთვის გამოყოფილი 220 მოჯავშნული საბრძოლო მანქანისა და 285 საველე საარტილერიო სისტემის კვოტების თუნდაც სრულიად ათვისებით, როგორ შეძლებს თავდაცვისუნარიანი სახმელეთო ჯარების ჩამოყალიბებას?

ან კიდევ, როდესაც მსოფლიოს ქვეყნებში სპეციალური დანიშნულების ჯარებს — მსუბუქ ქვეით სადაზვერვო-დივერსიულ ერთეულებს, მათი ვიწრო ფუნქციებისა და დანიშნულების გამო შედარებით მოკრძალებული რიცხოვნება გააჩნიათ (სახელდობრ, აშშ არმიაში სხვადასხვა ტიპის 20 დივიზიონი, 18 საბრძოლო და 22 ცალკეული საარტილერიო ბრიგადის, საარმიო ავიაციის 24 ცალკეული ბრიგადის, 18 საზენიტო სარაკეტო დივიზიონისა და სხვა ჯარების ფონზე არის სპეციალური დანიშნულების ჯარების ე.წ. „მწვანე ბერეტების" სულ შვიდი ბრიგადა და „რეინჯერების" ერთი პოლკი. თურქეთის სახმელეთო ჯარებში ორი დივიზიისა და 40 ცალკეული ბრიგადის ფონზე არის სპეციალური დანიშნულების ჯარების სულ ოთხი ბრიგადა), რატომ არის საქართველოში ასეთი აჟიოტაჟი ატეხილი სპეციალური დანიშნულების ჯერ ბატალიონის, ახლა კი ბრიგადის ჩამოყალიბებაზე, მაშინ, როდესაც ქვეყანას არ გააჩნია სათანადო რიცხოვნებისა და ხარისხის ჯავშანსატანკო, მექანიზებული ქვეითი, სამთოქვეითი, აერომობილური, საარმიო ავიაციის, საარტილერიო, სადაზვერო, ტანკსაწინააღმდეგო, კავშირგაბმულობის, საინჟინრო-მესანგრეთა, საარმიო ავიაციის, მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვის და სხვა ჯარები?

მაგრამ ზედმეტ ბელეტრისტიკას რომ მოვერიდოთ, ისევ ამერიკული სამხედრო მშენებლობის გამოცდილების გადმოცემით შევეცდებით ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის როგორც საკუთრივ აშშ შეიარაღებული ძალების, ისე თანამედროვე სამხედრო საქმის ზოგიერთი აქტუალური საკითხის გაშუქებას. ქვემოთ შემოგთავაზებთ წერილების ციკლს საერთო სათაურით „აშშ შეიარაღებული ძალები და საქართველო", რომელშიც შეძლებისდაგვარად შევეცდებით პარალელურად ამერიკული სამხედრო მშენებლობის გამოცდილების ფონზე საქართველოსთვის სასარგებლო რეკომენდაციების წამოყენებასაც.

## წერილი 1. აშშ სამხედრო მშენებლობის ისტორიული და პოლიტიკური საკითხები

1993 წლის აპრილში „აშშ საინფორმაციო სააგენტომ" ვენაში რუსულ ენაზე გამოსცა მწერლისა და სამხედრო ისტორიკოსის დევიდ ფ. თრექს ნაშრომი **Демократия и оборона - гражданский контроль над армией в Соединённых Штатах**, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ისტორიულად სამხედრო სამსახური აშშ-ში არ ყოფილა პატივსაცემი და პრესტიჟული. იქ გაცილებით უფრო მეტად ფასობდა ფერმერებისა და სხვა სამოქალაქო საქმიანობა. მართლაც, ევროპულ ომებსა და კრომველის დიქტატურას გარიდებული ბრიტანელი, ირლანდიელი, ფრანგი და გერმანელი კოლონისტები ამრეზით უყურებდნენ ქვეყანაში მუდმივი არმიის ჩამოყალიბებას, შტატების თავდაცვისა და შიდა უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტას ცდილობდნენ კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად შეყრილი მოხალისეთა ლაშქრით (მილიციით, შტატების ეროვნული გვარდიით), ხოლო მუდმივი ჯარის მცირერიცხოვანი გარნიზონები განლაგებული ჰყავდათ ინდიელთა მიწების, კანადისა და მექსიკის მახლობელ გარნიზონებში (ფორტებში). ამავე დროს ევროპული ომებისა და კონფლიქტებისგან აშშ განზე დგომასა და იზოლაციონალისტურ პოლიტიკას ამჯობინებდა.

ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი 1799 წელს წერდა: „შიდა თავდაცვის თვალსაზრისით მე გამოვდივარ მხოლოდ ჩვენს სახალხო ლაშქარზე დაყრდნობის მომხრედ მანამდე, სანამ გარედან არ შემოგვეჭრებიან, და მხოლოდ ისეთ საზღვაო ძალებზე, რომელიც საკმარისი იქნება მარბიელი მოქმედებებისგან ჩვენი სანაპიროსა და ნავსადგურების დასაცავად, და არა მშვიდობიანობის დროის მუდმივ არმიაზე, რომელსაც შიშის დანერგვა შეეძლება მოსახლეობაში, და საზღვაო ძალებზე, რომელიც თავისი საკუთარი ხარჯებითა და გაუთავებელი ომებით, თანაც ამ ომებში ქვეყნის ჩათრევით, თავიანთი სიმძიმით დაგვაწვებიან და ჩვენვე დაგვასამარებენ".

მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალების მობილიზება აშშ-ში დასჭირდათ 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის, აგრეთვე პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსვლელობისას, მაგრამ შემდეგ მალევე ისევ მკვეთრად ამცირებდნენ მათ რიცხოვნებას.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების კვალდაკვალ ერთა ლიგის შექმნის ფონზე აშშ პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს სურდა ქვეყანა შეეყვანა ამ ორგანიზაციაში, რაც საშუალებას მისცემდა ამერიკას უფრო აქტიური როლი ეთამაშა მსოფლიო პროცესებში და ერთა ლიგის მეშვეობით გაეტარებია „კოლექტიური უსაფრთხოების ახალი საგარეო პოლიტიკა". ამას დასჭირდებოდა მრავალრიცხოვანი, ძლიერი და მაღალ მზადყოფნაში მყოფი შეიარაღებული ძალები, რომელსაც სხვა ქვეყნების ჯარებთან ერთობლივად გამოიყენებდნენ ერთა ლიგის გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველსაყოფად. მაგრამ აშშ სენატმა (და, შესაბამისად, ამომრჩეველმა) უარყო პრეზიდენტის ეს პროექტი და კვლავინდებურად იზოლაციონალიზმის პოზიციას დაუბრუნდა. დევიდ თრესქს აზრით, მაშინ „ამერიკელები ჯერ კიდევ არ იყვნენ დარწმუნებული, რომ აშშ დიდ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ძველი კონტინენტების საქმეში თავისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მათ არ სურდათ მაღალ მზადყოფნაში მყოფი მსხვილი შეიარაღებული ძალების შენახვაც აქტიური საგარეო პოლიტიკის გამტარებლად".

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ერთი შეხედვით, მსგავსი სურათი განმეორდა — 1945-1950 წლებში აშშ შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა შეამცირეს 8 მლნ-ზე მეტი ადამიანიდან 600 ათასამდე (ანუ 13-ჯერ და მეტად), მაგრამ ამავე პერიოდში ყოფილ მოკავშირე საბჭოთა კავშირთან „ინტერესთან კონფლიქტის" ფონზე აშშ პრეზიდენტის ჰარი თრუმენის ადმინისტრაციამ შეძლო დაერწმუნებინა კონგრესი გამოეცხადებინა მსოფლიო საქმეებში მონაწილეობისკენ მიმართული აქტიური საგარეო პოლიტიკა. 1947 წელს მან მიიღო „საბჭოთა ბლოკის გაფართოების შეკავების" პოლიტიკის ფორმა, რაც ითვალისწინებდა ამ მიმართულებით რიგი ღონისძიებების გატარებას. იმავე 1947 წელს მიიღეს ახალი „კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ", რომლის მიხედვითაც ჩამოაყალიბეს „აშშ სადაზვერვო საზოგადოება" და მისი უმსხვილესი რგოლი „ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო", შემდგომში ამერიკის „ცენტრალურ დაზვერვაში" გააერთიანეს პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სხვა დაზვერვის სტრუქტურები, მიყურადების სამსახური (ეროვნული უშიშროების სააგენტო), კონტრდაზვერვა (გამოძიებათა ფედერალური ბიურო).

1947 წელს აშშ-მა სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება დადო თურქეთთან, ხოლო 1949-ში ჩამოაყალიბეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (ნატო), რომელშიც ამერიკას ევალებოდა ევროპელი მოკავშირეებისთვის „ბირთვული ფარის" უზრუნველყოფა, ხოლო შესაძლო ომში ევროპის ტერიტორიაზე თავად ამ ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს უნდა გამოელოთ ხელი. იმ ეტაპზე ამერიკული სამხედრო სტრატეგია ემყარებოდა შესაძლო საბჭოთა დარტყმებზე „მასირებული ბირთვული ნაცვალგების" კონცეფციას.

1960-იანი წლების შუახანებში აშშ-ში შეიმუშავეს და შემდეგ ნატოს ბლოკშიც გაატარეს ევროპის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალებით „მოქნილი რეაგირების" სამხედრო-სტრატეგიული კონცეფცია, რამაც ერთი მხრივ გაამწვავა ურთიერთობა აშშ-სა და საფრანგეთს შორის (საფრაგეთი გავიდა ბლოკის სამხედრო ორგანიზაციიდან), ხოლო მეორე მხრივ ფედერაციულმა გერმანიამ მოითხოვა ვარშავის ბლოკის ქვეყნების ჯარებთან უკვე სასაზღვრო რაიონში (გფრ-ის აღმოსავლეთ რაიონში) მეწინავე მიჯნებზე აქტიური თავდაცვითი მოქმედებების გაჩაღება და მოწინააღმდეგის ქვეყნის ტერიტორიაზე ღრმად შემოჭრის არდაშვება.

ბუნდესვერის „მეწინავე მიჯნებზე თავდცვის" კონცეფცია კარგად მოერგო საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ბლოკის საზღვრების მახლობლად ამერიკული შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების „მეწინავე ბაზირების" სტრატეგიულ კონცეფციას. სწორედ აღნიშნული სტრატეგიის საფუძველზე 1980-იანი წლების მიწურულისთვის ევროპულ ომის თეატრზე განლაგებული იყო აშშ შეიარაღებული ძალების ნახევარმილიონიანი დაჯგუფება, რომლის საბრძოლო შემადგენლობაშიც შედიოდა ოთხი დივიზია (ორი ჯავშანსატანკო და ორი მექანიზებული ქვეითი), ერთი ცალკეული ჯავშანსატანკო ბრიგადა, ორი ცალკეული ჯავშანსაკავალერიო პოლკი, ხუთი საარტილერიო ბრიგადა, ოპერაციულ-ტაქტიკური რაკეტა „ლანსების" ხუთი დივიზიონი, სამი ცალკეული საინჟინრო ბრიგადა, საარმიო ავიაციის ორი ბრიგადა და სხვა ჯარები. დამატებით გფრ, ბელგიის და ნიდერლანდების ტერიტორიაზე შექმნილი იყო სპეციალური საწყობები კიდევ ექვსი ამერიკული დივიზიის (ორი ჯავშანსატანკო, სამი მექანიზებული და ერთი ქვეითი) საშტატო საბრძოლო ტექნიკის და მძიმე შეიარაღებისთვის, რათა კრიზისულ სიტუაციებში ამ დივიზიების პირადი შემადგენლობის თვითმფრინავებით გადმოსროლის გზით უკვე ათ დღეღამეში ჩაებათ საბრძოლო მოქმედებებში გაძლიერების ეს შენაერთები.

დასაწყობებული შეიარაღების გათვალისწინებით 1980-იანი წლების ბოლოს აშშ შეიარაღებულ ძალებს ევროპაში გააჩნდა დაახლოებით 5000 საბრძოლო ტანკი, 2200 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 3100-ზე მეტი საველე არტილერიის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, ოპერაციულ-ტაქტიკური რაკეტა „ლანსების" 40-ზე მეტი გასაშვები დანადგარი, საარმიო ავიაციის 1600 თვითმფრინავი და ვერტმფრენი (მათგან 280-მდე დამრტყმელი ვერტმფრენი), 700-ზე მეტი ტაქტიკური საბრძოლო თვითმფრინავი. გარდა ამისა, ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანეში ამერიკულ სარდლობას განლაგებული ჰყავდა 200-ზე მეტი საბრძოლო ხომალდი, მათგან 9 მრავალმიზნობრივი ავიამზიდი, 70 მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავი და ავიამზიდებზე ბაზირებული 900 საბრძოლო თვითმფრინავი.

ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების სიდიდით მეორე დაჯგუფება აშშ სარდლობას განლაგებული ჰყავდა წყნარი ოკეანის ზონაში. იგი მოითვლიდა პირადი შემადგენლობის 600 ათას ადამიანს, 1800-ზე მეტ საბრძოლო თვითმფრინავსა და 200-ზე მეტ საბრძოლო ხომალდს. ამ ძალებისა და საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი გაშლილი იყო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში იაპონიისა და სამხრეთ კორეის ტერიტორიების ჩათვლით. სახელდობრ, 1990-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ კორეაში განლაგებული იყო 42 ათასამდე ამერიკული დაჯგუფება — სახმელეთო ჯარების ერთი ქვეითი დივიზია, ერთი საავიაციო დივიზია, ოპერაციულ-ტაქტიკური რაკეტების ბატარეა, ოთხი საარტილერიო და ერთი საზენიტო დივიზიონი. ჰავაის კუნძულებზე მათ გასაძლიერებლად განლაგებული იყო მსუბუქი ქვეითი დივიზია და სხვა ძალები.

იაპონიაში აშშ სარდლობას დისლოცირებული ჰყავდა 45-ათასიანი კონტინგენტი, რომელთაგან აღსანიშნავია საავიაციო დივიზია (120 საბრძოლო თვითმფრინავი) და კ. ოკინავაზე განლაგებული საზღვაო ქვეითი ჯარის 22-ათასიანი საექსპედიციო შენაერთი.

აშშ შეიარაღებული ძალების ძირითადი დაჯგუფება განლაგებული იყო ქვეყნის კონტინენტურ ნაწილში. მასში შედიოდა სტრუქტურული შეტევითი ძალების თითქმის მთელი შემადგენლობა, სახმელეთო ჯარების 19 დივიზია (სამი ჯავშანსატანკო, ექვსი მექანიზებული ქვეითი, ხუთი ქვეითი, სამი მსუბუქი ქვეითი, თითო-თითო საჰაერო-სადესანტო და საჰაერო საიერიშო), 30-მდე ცალკეული ბრიგადა და სხვა ჯარები საჰაერო თავდაცვისა და ტაქტიკური ავიაციის 87 საბრძოლო საავიაციო ესკადრილია და ა.შ.

ცივი ომის დასრულების შემდგომ ათწლეულში პენტაგონმა მკვეთრად შეამცირა თავისი ჯარების დაჯგუფება ევროპაში — ნახევარი მილიონიდან 100 ათას ადამიანამდე, ასევე საბრძოლო ტექნიკისა და მძიმე შეიარაღების რაოდენობაც. 2000 წელში აქ მიითვლებოდა სულ 785 ამერიკული საბრძოლო ტანკი, 1570-მდე მოჯავშნული საბრძოლო მანქანა, 510-ზე მეტი საველე საარტილერიო სისტემა, 140-მდე დამრტყმელი ვერტმფრენი, 100-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და სხვა შეიარაღება.

მაგრამ, როგორც ადრე ვწერდით, ცენტრალურ ევროპაში სამხედრო დაპირისპირების მკვეთრი შემცირების ფონზე მთელი 1990-იანი წლების განმავლობაში ამერიკა და, ნაწილობრივ, გერმანულ მიზანმიმართულად აძლიერებდნენ თურქეთის შეიარაღებულ ძალებს. მათი დახმარებით თურქულმა სარდლობამ მნიშვნელოვნად განაახლა და გაზარდა თავისი ჯავშანსატანკო, მექანიზებული ქვეითი, თვითმავალი საარტილერიო, ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო, საბრძოლო ავიაციისა და საბრძოლო ხომალდების შეიარაღება (შემადგენლობა). ამ გადაიარაღების შედეგად თურქეთმა აშკარად გადააჭარბა თავისი თავდაცვითი საკმარისობის მოთხოვნებს და გარკვეულ ფარგლებში აშკარად შეტევითი შესაძლებლობები შეიძინა. თანაც ამისთვის თურქულმა სარდლობამ ნატოს ბლოკის დანარჩენი ქვეყნებისგან განსხვავებით, 1990-იან წლებში თავისი სამხედრო ხარჯები 5,0 მლრდ. ამერიკული დოლარიდან 10,9 მლრდ.-მდე გაზარდა.

ამასვე მოჰყვა თურქეთის მახლობელ რეგიონებში — ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთი — ამერიკული ჯარების შეყვანა. რაც შეეხება სამხრეთ კორეასა და იაპონიას, აქ პენტაგონმა უმნიშვნელოდ შეამცირა გასულ ათწლეულში თავისი ჯარების დაჯგუფებები და 2000 წელს ისინი მოითვლიდნენ შესაბამისად 36,5 და 39,7-ათას ადამიანს (უწინდელი 42 და 45 ათასის ნაცვლად).

**ირაკლი ხართიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყმაწვილების წერილი ედუარდ ბაბუს

საყვარელო ედუარდ ბაბუ! წინასწარ გეუბნებით, მიუხედავად იმისა, რომ უფროსები ცუდად მოგიხსენიებენ — ქვეყანს ვერ უძლვებაო, პატარებს მაინც გვიყვარხარ, იმიტომ რომ „დიდების ზღაპარში" ძალიან კარგად თამაშობთ. ეს რომ ბაბუაჩემს ვუთხარი, იცით, რა მითხრა? — ეგ ზღაპარშიც კარგად თამაშობს და პოლიტიკაშიცო.

ამ წერილის მოწერას რა გამაბედინებდა, რომ არა ერთი ამბავი, რომელიც საბავშვო ბაღში შემემთხვა და ჩემი იქედან გამოგდების მიზეზიც გახდა.

ლობიონაჭამი ვიყავი და ლექსის თქმის დროს გამეპუკა. მასწავლებელმა ყური ამიწია და გაჯავრებით მითხრა: როგორ არა გრცხვენია ამხელა ბიჭსო? ყური ძალიან მეტკინა და სიტყვა შევუბრუნე: მასწავლებელო, მთელმა ხელისუფლებამ ჩაისვარა და მე რომ გავაპუკო, რა მოხდა-მეთქი?! მეორე ყურიც ამიწია. როგორც ჩანს, ჩემს ნათქვამს პოლიტიკური სარჩული დაუდეს და გამომაპანღურეს. მით უმეტეს, რომ ქირასაც დროულად ვერ ვიხდიდით.

ახლა ვსხედვართ მე და ჩემზე უფროსი დაიკოები და ამ წერილს გწერთ. ალბათ, ბოლომდე რომ წაიკითხავთ, გაგიკვირდებათ, იფიქრებთ, ეს ბავშვების დაწერილი არ არისო...

საყვარელო ბაბუ, ჩვენს ოჯახში დილიდან დაძინებამდე სულ პოლიტიკაზე საუბარი და პოლიტიკოსების გინებაა. აბა, მე საიდან მოვიფიქრებდი, რაც მასწავლებელს ვუთხარი?! — ბაბუაჩემის სიტყვები გავიმეორე. ხომ იცით, ბავშვები სისულელეებს უფრო ადვილად სწავლობენ, ვიდრე გაკვეთილებს და ჩვენც ვიმახსოვრებთ უფროსების ნაბოდვარს. თუმცა კარგ რამეებსაც გვასწავლიან ოჯახში. მე და ჩემმა დებმა „ვეფხისტყაოსანიც" ზეპირად ვიცით, გალაკტიონის ლექსებიც და ვაჟაფშაველასიც. იცით, ვინ გვასწავლა? — ბაბუამ, ბებომ, დედიკომ და მამიკომ. იმათ ყველა წიგნი წაკითხული აქვთ. ბაბუაჩემი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია, ბებია — ფილოსოფოსი, მამა — ინჟინერი, დედიკო — ექიმი. ყველანი უმუშევრები არიან და თუ ოჯახში საჭმელი გვაქვს, ერთმანეთს ლექსების თქმაში ეჯიბრებიან, თუ არა და — მთავრობის გინებაში.

ახლა ჩემი დაიკოები მაძალებენ, მოგწეროთ, რომ ხვალისთვის არც სადილის ფული გვაქვს და არც ტრანსპორტის. ბაბუას და ბებოს 14-14 ლარი პენსია აქვთ და 3-4 თვეში ერთხელ აძლევენ. ჩვენ ვაკეში ვცხოვრობდით. ბინა გავყიდეთ და მუხიანში გადავედით. რაც ფული დაგვრჩა, პურის ფულად დავხარჯეთ. დღეის შემდეგ რა უნდა ვქნათ, არ ვიცით!

ჰო, მართლა, წიგნებს, რვეულებს და სხვა სასწავლო ნივთებს ვერ ვყიდულობთ. ჩვენს მაგივრად ნანული ბებოს უთხარით, უპატრონო ბავშვთა სახლს რომ აკითხავს ხოლმე, ჩვენ




რაღა დავუშავეთ?! — მეტი რა უპატრონობა გინდათ, გვშია, ტან-ფეხზე არ გვაცვია და სწავლის ქირას ვერ ვიხდით.

ამას წინათ შუქის კაცი მოვიდა. მრიცხველს შეხედა და გაოცებისაგან რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყუდა. იცით, რამდენი იყო დაწერილი? — 216 ლარი და 55 თეთრი. ბაბუმ უთხრა: 55 თეთრს მოგცემ და დანარჩენს, როცა მექნება, მაშინ გადაგიხდიო. ასე თუა, იძულებული ვიქნები, დენი გადაგიჭრაო. დენი კი არა, ვენები რომ გადამიჭრა, ერთ თერთსაც ვერ გამაგდებინებო, — უპასუხა ბაბუაჩემმა. შუქის კაცი კარგი ბიძია აღმოჩნდა, ხელი ჩაიქნია, ამ მთავრობის დედაო, ჩაიბურტყუნა, შებრუნდა და წავიდა. ჯერ კიბეები არ ჰქონდა ჩამთავრებული, წყლის, ლიფტის და ნაგვის გატანის ფულის ამკრეფები რომ მოგვადგნენ. იმის გამო, რომ ბაბუას ინფარქტი და ინსულტი ერთდროულად მოუვიდა, მამაჩემმა პანღურით გაყარა სამთავე. ბებიაჩემი ტელეფონს ეცა სასწრაფოს გამოსაძახებლად, მაგრამ, ნურას უკაცრავად! — იქიდან ვიღაცა დეიდამ უპასუხა: დავალიანების გამო გამორთულიაო. გაცვივდნენ ბებიაჩემი და დედიკო მეზობელთან დასარეკად, დარეკეს კიდეც, მაგრამ რად გინდა. გამოძახებას 25 ლარი სჭირდებაო. ახლა ბებიაჩემმა იტაცა გულზე ხელი და იატაკზე ბრაგვანი მოადინა. როგორც იქნა, მეზობლებმა მოასულიერეს და ბაბუაჩემს მიუწვინეს გვერდში.

საბრალო მამაჩემი ოთახში ბოლთას სცემს, სიგარეტს აბოლებს, ხელებს ასავსავებს და დროგამოშვებით იგინება:

— ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარა, იმის ცოლი და დედა, იმის მკვდარი და ცოცხალიო...

ნეტა ვის აგინებს?

ბაბუ, იმედია, თქვენ ჩვენს ამბავს გულთან არ მიიტანთ. ყველას მაგივრად რომ თქვენ ინერვიულოთ, მხედველობა დაგიქვეითდებათ და უფრო ველან დაინახავთ, თქვენი ოჯახის მილმა რა ხდება.

**P. S. ბაბუ! მე და ჩემმა დაიკოებმა გადავწყვიტეთ, ხვალიდან სამათხოვროდ გავიდეთ. ნახევარი საქართველო მათხოვრობს და ჩვენ, რა გამონაკლისები ვართ?!**

**მეც რომ გავიზრდები, პრეზიდენტი უნდა გავხდე. რა უნდა პრეზიდენტობას?! — წაართვი ხალხს, რაც გააჩნია, გაყიდე სახელმწიფოს გაძეულობა და ამონაგები თანხა შეიტანე შვეიცარიის ბანკში. თუ ვინმე წინ აღგიდგება ან, უბრალოდ, ხელს შეგიშლის წინსვლაში, „ჩამოიშორე" გზიდან და ჩაყარე ციხეებში. შენც დაისვენებ და ისინიც. დროგამოშვებით მოაწყვე ტერაქტის ინსცენირება ან სულაც გამოიყვანე ვინმე ტელევიზორში და ყასიდად აგინებინე ხელისუფლება. აი, როგორც „60 წუთში" აკაკი ბიძია აკეთებს ხოლმე. ამით ხალხი დაიჯერებს, რომ რაღაც სასიკეთო ძვრები დაიწყო.**

**წერილი ხელში ჩაუვარდა**
**ნიკოლოზ იოსებიძეს**

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

მე-2 გვერდიდან

ძლევს, რომ ჩვენ მივხედოთ ჩვენ თავს. მე ასე ვხედავ ამ ხელშეკრულებას და ამიტომ ვუჭერ მხარს, რომ ჩვენ ამ ხელშეკრულებას მხარი დავუჭიროთ.

კიდევ ერთ მომენტს მოგახსენებთ. დრო არის, რომ ჩვენ რადიკალურ აზროვნებას მოვეშვათ. რადიკალური აზროვნება გერმანულ ფილოსოფიაში აღიარებული არის, როგორც ბოროტება.

**ნ. ნათაძე.** რა იცი შენ გერმანული ფილოსოფიისა!

**ე. შენგელაია.** თქვენ, ბატონო ნოდარ, ყველაფერი იცით და არ გვაძლევთ საშუალებას, რომ ჩვენც ცოტა რაღაცა ვიცოდეთ. თქვენ რეპლიკასთან დაკავშირებით მე ერთი რამ მინდა გავიხსენო, ამერიკაში ყოფნის დროს, ჩვენ ერთად რომ ვიყავით, ბატონო ნოდარ, მე თქვენობით გელაპარაკებით და თქვენც ცოტა... მე გთხოვთ, რომ... ყოფნის დროს, დღეს, ასე ვთქვათ, ერთ-ერთი თქვენი წევრი ან ლიდერი, ან როგორ გითხრათ არ ვიცი, ქალბატონი რუსიკო ბერიძე რატომღაც თქვენი გამოსვლის შემდეგ ყოველთვის მთხოვდა — ბატონო ელდარ, აუცილებლად გამოდით.

**რ. ბერიძე** (რეპლიკა არ ისმის).

**ე. შენგელაია.** მე გამოვდიოდი, აგერ არის ქალბატონი რუსიკო და, მე მგონი, უარს არ იტყვის. მე გამოვდიოდი იმიტომ, რომ ეს რადიკალური აზროვნება, რომელსაც თქვენ აწვდიდით ჩვენს პარტნიორებს შეხვედრების დროს, ცოტა არ იყოს ალაშფოთებდა მათ და ცოტა არ იყოს შეშფოთება შემოდიოდა მათში. მე გეუბნებით თქვენ, რომ დრო არის შევეშვათ ამ...

**რ. ბერიძე.** თუ შეიძლება, ვუპასუხებ.

**ე. შენგელაია.** ასეთ აზროვნებას და შევუდგეთ ცოტა რეალურ შეხედულებას იმ გარემოსა და იმ პირობებში, რომელშიც იმყოფება ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი მოქალაქეები და პასუხისმგებლობა ვიგრძნოთ. დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

**თავმჯდომარე.** ქალბატონი ირინა სარიშვილი, შემდეგ ქალბატონი კირთაძე.

**რ. ბერიძე.** განმარტებისათვის, თუ შეიძლება.

**თავმჯდომარე.** ბრძანეთ.

**რ. ბერიძე.** ბატონო ელდარ, მე მგონი თქვენი გამოსვლა ცოტათი არაკორექტული იყო. ბატონი ნოდარ ნათაძე ამერიკაში ჩვენი მთელი ყოფნის განმავლობაში საერთოდ აღფრთოვანებას იწვევდა ყველა კონგრესმენში, ყველა სენატორში, რომელსაც ჩვენ ვხვდებოდით და ერთადერთი განმარტება, რომელიც ბატონი ნოდარის მიმართ ითქმებოდა იყო „ნათელი ტვინი". ეს იყო იქ. მე თუ თქვენ გთხოვდით, რომ გამოსულიყავით, ეს ბუნებრივი იყო, საჭირო იყო გამოსულიყო ერთი, მეორე, მესამე და მეოთხე. ყველას ვთხოვდი მე გამოსულიყო და არა მარტო თქვენ.

**თავმჯდომარე.** კეთილი.

**ი. სარიშვილი.** აქ „სნგ"-ს და რუსეთის დახასიათებაზე საკმაოდ ბევრი ითქვა უკვე და ძნელია ან ერთ მხარეს დაამატო რამე ან მეორე მხარეს. ჩვენი პოზიცია „სნგ"-სთან დაკავშირებით ყველასთვის ცნობილია. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არ წარმოვადგენთ არც უმრავლესობას და არც ოპოზიციის წევრები ვართ და ამდენად, ეგებ ამის გამო მაინც ტენდენციურობა ჩვენი მისამართით არ წამოვიდეს, განსაკუთრებით უმრავლესობის მხრიდან. ბატონო ვალერი, მე არ შემიძლია რეპლიკის გარეშე დავტოვო თქვენი ნათქვამი. თქვენ, ბუნებრივია, დარწმუნებული ხართ იმაში, რაც თქვით, რომ ამ გზით, რომელიმე ჩვენთაგანი ვინც წინააღმდეგია „სნგ"-ში შესვლის, ხელისუფლებისაკენ აპირებს მისვლას. მე, ბატონო ვალერი, ამ გზის გამო ეს ხელისუფლება დავტოვე და საკმაოდ სერიოზული პოსტი და ამიტომ ასეთი უხერხული გამოთქმები, ალბათ, ერთმანეთის მიმართ ნამდვილად არ უნდა ვიკადროთ. მე ეჭვი არ მეპარება, ამ დარბაზში ვინც ზის ყველას გულწრფელად უნდა გამოსავლის ნახვა. უბრალოდ ერთს ერთში ესახება ეს გამოსავალი, მეორეს მეორეში. რაღაცეებს თუ დავწამებთ ერთმანეთს, მაშინ არც ამ უმრავლესობის და არც უმცირესობის არსებობას პარლამენტში აზრი არ ექნება. ჩვენ იმიტომ ვიყავით უმრავლესობის ფორმირების მომხრე და ოპოზიციის ჩამოყალიბების მომხრე, რომ პარლამენტში კონსტრუქციული თანამშრომლობის საშუალება ყოფილიყო. თუ ამის მაგივრად ასეთი მეთოდებით დავიწყებთ, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, გინდა ერთი მხრიდან, გინდა მეორე მხრიდან, ეს ალბათ კარგს არაფერს მოიტანს.

ახლა რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას. ძალიან ღრმად ვერ შევეხები იმიტომ, რომ დღეს ალბათ ცოტა სხვა გადაწყვეტილება არის მისაღები, თუ მივალთ საერთოდ ამ გადაწყვეტილებამდე და კონცენტრირება ალბათ უკეთესია, რომ ერთი საკითხის გარშემო მოხდეს. ეს არის კონკრეტულად „სნგ"-თან დაკავშირებით.

ბატონ ედუარდს ახსოვს ალბათ, ეს მარტო ჩემი აზრი არ ყოფილა, როდესაც მან მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს „სნგ"-ში შესვლაზე, ამას გადადგომაზე არ ვლაპარაკობ, უბრალოდ პირადად ჩემგანაც და არა მარტო ჩემგან, რამდენიმე იყო ამ აზრისა, მოჰყვა ძალიან რბილი რეაქცია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ არ გამოვსულვართ ქუჩაში, არ დაგვიწყია ყვირილი თვითონ პარლამენტშიც კი, ამას პარლამენტის წევრებიც, მიუხედავად კუთვნილებისა ვინ რომელ მხარეს არის, დაგვიდასტურებენ. ჩვენ უბრალოდ ჩვენი აზრი ჩავთვალეთ სწორად, ჩვენი პრინციპი ჩავთვალეთ სწორად და, ბუნებრივია, მე ვერ მივცემდი ჩემ თავს უფლებას დავრჩენილიყავი იმ მთავრობაში, რომელიც გამარჯვებულად გრძნობდა თავს. ერთია, როცა ტაქტიკური ნაბიჯია ვინმესთვის „სნგ" და მეორეა, როცა ეს არის სურვილი. დამარცხებულ ქვეყანას, ჩემი ღრმა რწმენით, არ შეიძლება გამარჯვებული ხელისუფლება გყავდეს და არ შეიძლება საერთოდ რომელიმე გადაწყვეტილების მიღების დროს ჩვენ ან სიხარულით სახე გაგვინათდეს ან, ვთქვათ, ერთმანეთი დავხოცოთ იმიტომ, რომ დღეს აქ გასახარელი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რამე რომ მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ მე წინააღმდეგი ვარ, „სნგ"-ში შესვლის, გასახარელი საქართველოსთვის, მას შემდეგ რაც საქართველო „სნგ"-ში შევიდა, დღეს არც ერთი ჩვენთაგანისთვის არ შეიძლება რომ იყოს. ამიტომ აქედან გამარჯვებული ბუნებრივია ვერავინ ვერანაირი შედეგის შემთხვევაში ვერ გავა, მიუხედავად იმისა, ვინ ვის დაუძახებს შემდეგ მოღალატეს. ეს რომ იყოს ხსნის გზა, ყველა თანახმა იქნებოდა იმ გმირის მოსასხამზეც და ყველაფერზე, რომ ერთს მხსნელი დაუძახონ და მეორეს მოღალატე. ეს არ არის გამოსავალი. ჩემთვის, „სნგ"-ში მაშინ შესვლა ძალიან მარტივად აიხსნა იმით, რომ ჩვენ რომ მივიყვანეთ აქამდე საქმე, ეს სხვა საქმეა, ეს მერე ცალკე მსჯელობის საგანი გახდება არცთუ ისე შორეულ მომავალში, ჩემი აზრით, გასაგებია აფხაზეთში რაღაც მოხდა, შემდეგ სოხუმი დაიკარგა. ამას მე ძალიან უტრირებულად ვამბობ იმიტომ, რომ ამის დრამატიზირების თავიც აღარა მაქვს უკვე, თუმცა შემდეგ, როგორც გავარკვიეთ ჩვენ, ე. ი. ორი რუსული დივიზიის შემოყვანაზე იყო საუბარი სოხუმის დაკარგვამდე. ამ რუსულ დივიზიაზე უარი ითქვა იმ მიზეზით, რომ ეს იქნებოდა ოკუპაცია. მე აბსოლუტურად არ მაკმაყოფილებს ის მოტივი, რომ აი, თუ შემოყვანაზე სახელმწიფოს მეთაური დათანხმდებოდა, მაშინ რამდენიმე წევრი თანამდებობიდან გადადგებოდა. ჩვენ თუ არ გვქონდა პრინციპი უკვე აღებული, რომ ჩვენ ამაზე უარს ვამბობთ, „სნგ"-ზე მაქვს საუბარი, მაშინ ჩვენ ამ რუსულ დივიზიაზე უარის თქმით უფლებაც არ გვქონდა. და ვინც არ უნდა გადამდგარიყო, მთელი მთავრობა რომ წასულიყო, ჩვენ ჩვენი გზით უნდა გვევლო. ეს არის ფაქტი. მე ამის მომხრე ვარ, თუ არა ვარ მომხრე, იქ სარიშვილი გადადგებოდა, ყარყარაშვილი გადადგებოდა, თუ ვინც არ უნდა გადამდგარიყო, თუ ჩვენ არ გვქონდა კონკრეტულად გამოხატული ჩვენი პრინციპი, მაშინ სჯობდა, რა თქმა უნდა, „სნგ"-ში აფხაზეთიდან რომ აღმოვჩენილიყავით. ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ვიდრე დაკარგული აფხაზეთით და ახლა რაღაც ბუნდოვანი იმედებით. მაშინაც ითქვა ის, რომ ეგებ სჯობდეს, ეს რაღაც ტაქტიკური ნაბიჯი იყოს, და მე ღრმად მწამს, რომ ეს სახელმწიფოს მეთაურიდან იყო ტაქტიკური ნაბიჯი, ეს პერიოდი ჩვენ სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის უნდა გამოვიყენოთ, აი, ეს სიმშვიდე, თუ ამას სიმშვიდე ჰქვია, რასაც ეს ნაბიჯი მოგვიტანს და საბოლოოდ ნუ დავაკანონებთ იმას, რაც შეიძლება საქართველოსათვის საკმაოდ არასასურველი აღმოჩნდეს არცთუ ისე შორეულ მომავალში. აქ იყო ანალოგიები გაკეთებული 18 და 21 წელთან და 1801 წელთან. მე ვერ დავეთანხმები ვერც ერთი ამ ანალოგიის ავტორს, მე ვერ ვხედავ ამასთან ანალოგიას და რატომ? იმიტომ, რომ 1801 წელს არსებობდა საკმაოდ რეალური მოტივი, სხვა საქმეა ჩემთვის რამდენად მისაღები, ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენის. ამ მოტივს თავისი საფუძველი ჰქონდა და რატომ? იმიტომ, რომ რუსეთი იყო ერთგვაროვანი და ერთიანი. რუსეთში საქართველოს მიმართ, კავკასიის მიმართ, თუ სხვა კუთხის მიმართ

გაგრძელება მე-8 გვ.

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

მე-7 გვერდიდან

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობდა. იგივე იყო, სხვათაშორის, 1921 წელსაც. ახლა ჩვენ შევხედოთ დღევანდელ რუსეთს, დავაკვირდეთ იმას, რომელი ძალა რა ტემპებით იკრებს ტემპს, რომელი ძალა შეიძლება აღმოჩნდეს დღეს თუ ხვალ ხელისუფლების სათავეში და რამდენად გვაქვს ჩვენ იმის საშუალება, რომ ასე მკვეთრად დავაფიქსიროთ ან ერთი ან მეორე პოზიცია. მე ვარ უფრო იმის მომხრე, ბატონო ედუარდ, რომ კენჭისყრა არ შედგეს. ამ საკითხის ჩავარდნამ შეიძლება გამოიწვიოს რუსეთთან გამწვავება დღეს, მაგრამ ეს იქნება ძალიან ცუდი ხვალისთვის და იმდენად ცუდი, რომ შეიძლება ჩვენ უკან მობრუნება ვერ მოვახერხოთ. ამ საკითხის გატანამ შეიძლება ეს გადაწყვეტილება თავიდან მაინც არ აგვაცილოს და მე შევეცდები ერთი მაგალითით დავადასტურო, თუ რა ტენდენციებია თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ეს იქნება ძალიან კარგი ხვალისთვის. მაგრამ ორივეს ერთად სჯობია, რომ ჩვენ ეს საკითხი არ დავაყენოთ კენჭისყრაზე. მითუმეტეს აშშ-ში ვიზიტის წინ. მე ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილთან მქონდა გუშინ საუბარი, ეს ჩემთვის საიდუმლო არ იყო, მან კიდევ ერთხელ დამიდასტურა, არის გარკვეული ულტიმატუმური სახის მიმართვა რუსეთიდან, რომელიც, თუ არ ვცდები, საგარეო საქმეთა სამინისტროში ინახება, რომ 7 მარტამდე არის საუბარი, რომ მოხდეს რატიფიკაცია. თუ რომელიმე ჩვენგანი, მიუხედავად იმისა, ვის რა გვგონია დღეს რუსეთი, ფიქრობს, რომ რუსეთი საქართველოს ინტერესებიდან აკეთებს ამას და იმიტომ აკეთებს იმას, რომ საქართველოს მეთაურმა ამერიკიდან მეტი ჩამოიტანოს ამ რატიფიკაციის გზით, მაშინ ძალიან შევმცდარვართ. მე მგონი, ასეთი აზრი არავის არ შეიძლება რომ ჰქონდეს. ამიტომ არსებობს უმტკივნეულო გამოსავალი დღევანდელი დღისათვის, მით უმეტეს, რომ აშშ-ში ვიზიტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მართლა. ეს მნიშვნელობა ჩვენ შეიძლება დღევანდელი დღით დავიყვანოთ ნულამდე და საერთოდ ამ ვიზიტს მნიშვნელობაც არ ჰქონდეს და ამიტომ რაღაცნაირად ამაზე უნდა ვიფიქროთ. მე ჩემსას გთავაზობთ.

ახლა რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას. აქ იყო ნათქვამი, რომ რადიკალიზმი არ არის მისაღები. მე გეთანხმებით, ბატონო ელდარ, რადიკალურ აზროვნებას და ზოგ შემთხვევაში პოლიტიკურ აზროვნებასაც კი ნამდვილად ძალიან ცუდი შედეგები მოაქვს. მე გეთანხმებით ამაში. მაგრამ, მოდით დავფიქრდეთ, და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ სუფთა ფსიქოლოგიურ დონეზე ვთქვათ, რამ გამოიწვია ზვიად გამსახურდიას გამარჯვება, აი, ასეთი ტიპის რადიკალიზმის გამარჯვება საქართველოში? მე არაფერს აღარ ვამბობ რუსეთის აგენტურის მუშაობაზე. თვითონ ხალხის განწყობილება რატომ გახდა ასეთი, იმიტომ, რომ არსებობდა ამაზრზენი კონფორმისტული ფონი და ერთმა უკიდურესობამ შვა მეორე უკიდურესობა. ბატონო ელდარ, დღეს შეიძლება ჩვენი დღევანდელი სახით, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, შევქმნათ ასეთივე ამაზრზენი კონფორმისტული ფორმა და ერთგვარი ჯადოსნური წრე შეიკრას და მოვიდეს დრო საქართველოს განთავისუფლების და აი, იმ პერიოდში ხელისუფლება თქვენთვის და ჩემთვის და ყველასათვის მიუღებელმა რადიკალურმა ძალებმა ჩაიგდონ ხელში; მაშინ სად მივდივართ? ამაზე რატომღაც არავინ არ ფიქრობს. მე ერთი რამე მაინტერესებს — უკვე ტყუილები დაიწყო, ჩვენი მხრიდან ტყუილები დაიწყო, ტელევიზიიდან ტყუილები დაიწყო, არავინ არ ითხოვს ბატონო რუსეთისათვის მუშტების ქნევას, ეს ისევე მიუღებელია ჩემთვის, როგორც რუსეთთან სიყვარულის ფიცი; იმიტომ, რომ ამას არც ერთი სახელმწიფო არ აკეთებს. მაგრამ მე ერთი რამე მაინტერესებს. გუშინ იყო, თუ არ



ვცდები, ასეთი გადაცემა, სადაც ახსენეს, რომ კაზაკი ეროვნების ჯარისკაცებმაო დაჭრეს ვიღაც ქართველები. კაზაკი ეროვნება რომ არსებობს, ჯერ ეს რუსეთს თვითონ არ დაუდგენია. იქამდე ვართ უკვე მისულები, რომ ოღონდ რაღაცა არ ვთქვათ, რაღაც გავალამაზოთ და საკუთარ ხალხს რაღაც დავუმალოთ, რომ რაღაც აბსურდული ცნებები შემოგვაქვს უკვე ჩვენს აზროვნებაში თვითონ. ისევე როგორც კაციშვილი ყურადღებას არ აქცევს რას გადმოსცემს „ნოვოსტი", რას გადმოსცემს „ვესტი", რა მდგომარეობაშია დღეს ელცინი. ბატონო ედუარდ, არც თქვენთვის იქნება ეს საიდუმლო, რომ ელცინი ნელ-ნელა კარგავს თავის გავლენას რუსეთში, კარგავს როგორც დემოკრატების მხრიდან, რომელთა თვალშიც ელცინი არასაკმარისი რეფორმატორი და დემოკრატია, ასევე რეაქციონერების მხრიდან, რომელთა თვალში ელცინი არასაკმარისი რეაქციონერია და ის ცოტა ხანში შეიძლება აღმოჩნდეს გორბაჩოვის მდგომარეობაში. ჩვენ, როცა არანაირი პერსპექტივა თვითონ რუსეთს არა აქვს პროგნოზირებული, როგორ ვაკეთებთ ამას. რა უფლებით ვაკეთებთ იმას, რომ რაღაც მკვეთრი ნაბიჯი გადაიდგას ჩვენი მხრიდან და, ფატალისტური აზროვნების მომხრე მე არა ვარ, მაშინ შეიძლებოდა მოსულიყო რუსეთიდან წერილი, რომ შემოგვიერთდით გუბერნიად, თორემ ეკონომიკურ ხელშეკრულებას არ ავამოქმედებთ და ალბათ მაშინ ამაზეც უნდა დავთანხმებოდით. და კიდევ ერთი, მე ვამთავრებ, ცოტა გადამიცდა, მაპატიეთ. საქმე რაშია, ბატონო ედუარდ, ჩვენ ვიყავით ის ხალხი, რომლებიც წინააღმდეგი ვიყავით საბჭოთა კავშირის დანგრევის. ამას რატომ ვამბობთ. რომ, გასაგებია, მიუხედავად იმისა, ვის როგორი დამოკიდებულება აქვს ერთმანეთის მიმართ, ერთმანეთის მდგომარეობაში შევიდეთ. დანგრევის წინააღმდეგი ვიყავით და ამისათვის ვიბრძოდით. თქვენც ბატონო ედუარდ, თქვენ რომ ჩამობრძანდით, მაშინაც ბრძანეთ, რომ ამის მომხრე..., სხვათაშორის ალბათ ჩვენზე მეტი თქვენ გააკეთეთ იმიტომ, რომ თქვენი პოზიციიდან გაცილებით ადვილი იყო ამის გაკეთება, ვიდრე, ვთქვათ, ეროვნული მოძრაობიდან ან ქუჩიდან, როგორც გვიყვარს ჩვენ ამის ლაპარაკი. ჩვენ ხომ ვართ პასუხისმგებლები, ბატონო ედუარდ, იმ შედეგებზე, რაც ამ საბჭოთა კავშირის ნგრევამ მოიტანა. რომელ ეტაპზე გადახტომაზეა საუბარი. ჩვენ ხომ გავიარეთ ეს ეტაპი. ჩვენ ხომ უნდა ვუპასუხოთ რამე იმ ხალხს, რომელსაც უჩნდება შეკითხვა — მაშინ რატომ მაღვრევინეთ სისხლი, მაშინ რატომ ვიშიმშილეთ, მაშინ რატომ მოვიკალით თავი ამ კუპონზე, თუ ყველაფერი ეს სულერთია. ამას ემოციებით არ ვამბობ მარტო. ადამიანმა გაჭირვებას შეიძლება გაუძლოს გარკვეული მიზნით. მაპატიეთ, მაგრამ საერთაშორისო ავტორიტეტს საქართველოსათვის „სნგ"-ში შესაყვანად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს საერთაშორისო ავტორიტეტი საქართველოს ხომ უნდა გამოეყენებინა. ამ საერთაშორისო ავტორიტეტით მიღებული კრედიტები მედროვეების ჯიბეებში უნდა წასულიყო, თუ სახელმწიფო ხაზინაში. დღეს ჩვენ იმაზე რომ ვლაპარაკობთ, „სნგ"-ში შეღავათიანი ფასები იქნება, კი ბატონო, მაგრამ მე ჯერ ეჭვი მეპარება, მაგრამ შეიძლება იყოს. 40% რომ დააკლებენ სახელმწიფო ხაზინას, არ შეეტყობა და ისევ ვიღაცეები... ძალიან კარგად იცით, რაზეც არის ლაპარაკი და რა ხალხსაც ეყრდნობა დღეს სახელმწიფო, ამას რა მნიშვნელობა აქვს. რატომ მოგვაქვს ერთი მიზეზი სხვა მიზეზად, როცა მიზეზი ჩვენი უბედურებისა და სიდუხჭირისა პირველ რიგში ვართ ჩვენ.

და კიდევ ერთი მინდა ვთქვა. აქ ერთ-ერთმა ძალიან პოპულარულმა, დღეს უკვე ჟურნალისტმა, ამას წინათ ბრძანა ასეთი ციტატა: „სამშობლო დედის ძუძუ. არ გაიცვლების სხვაზედა — ეს კარგია, მაგრამ ლირიკააო". იცით რა, ყოველგვარი ემოციის გარეშე გეუბნებით, ჯერ ხომ უბედურებაა, რომ ასეთი ჟურნალისტი არსებობს და სჯობია, რომ ასეთი აზრი არ არსებობდეს. მაგრამ ამაზე უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ხელისუფლება არ უნდა გვყავდეს ჩვენ ისეთი, რომლისათვისაც აი სამშობლოს გაცვლა-არგაცვლა ლირიკა იქნება, მაპატიეთ.

**თავმჯდომარე.** ქალბატონი ნესტან კირთაძე, შემდეგ...

**ი. სარიშვილი.** მაპატიეთ, ბატონო ვახტანგ, ერთი მინდოდა, ეს აუცილებელია. ბატონო ედუარდ, თქვენ შეიძლება თქვათ რაიმე ჩემი მისამართით, მე არაფერზე ამაზე პასუხს არ გაგცემთ იმიტომ, რომ უბრალოდ დღეს ამისი დრო არ არის და შევეცდები, ყოველ შემთხვევაში, რაც შესაძლებელია, ის პასუხის გარეშე დარჩეს. ახლა ეს პასუხად არ მიიღოთ, უბრალოდ მე მართლა დაინტერესებული ვარ ამაში, თუ ჩემი დეპუტატობა დღეს არის უკანონობა, ანუ ის, რომ მე რაღაც პერიოდში ვიცე-პრემიერი ვიყავი და თუ, ვთქვათ, ჩემი მდგომარეობა ერთნაირია იმ 15 თუ 20 დეპუტატთან, რომლებიც დღეს მუშაობენ დანიშნულ თანამდებობებზე, რომელსაც პარლამენტის დამტკიცება არ სჭირდება, მაშინ მე ვთავაზობ პარლამენტს, თუ 15 თუ 20 კაცი, რამდენიც არის, ადგება და იმისათვის, რომ დღეს პარლამენტმა კანონიერი გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მივა ეს საქმე კენჭისყრამდე, მე გავდივარ მათთან ერთად პარლამენტიდან. იმიტომ, რომ არ მიღირს მე პარლამენტის სკამი ამად.

(ხმა დარბაზიდან).

**თავმჯდომარე.** ქალბატონი კირთაძე, შემდეგი გამოვა ბატონი ნ. ნათაძე. მე ერთი პატარა განცხადება მინდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო 22 თებერვლამდე ეკონომიკური ხელშეკრულებები ირღვევაო და რატიფიკაციას... ვერაფერში ვერ გვეხმარება ეს ჩვენ. „სნგ"-ს წევრად ვითვლებით და ვერ ვიყენებთ ვერაფერს. აი, ეს იყო, თორემ... ხოლო რაც შეეხება ბატონი ედუარდის ნათქვამს, როგორც ვიცი, ქალბატონი ირინას საწინააღმდეგოდ არ თქმულა და პირიქით, ითქვა, რომ არაფერი ცუდი ამაში არ იყო, რაც იყოო. ასე რომ... და ეს სხვა დროისათვის გადავიტანოთ. გთხოვთ.

**ნ. კირთაძე.** ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, პატივცემულო კოლეგებო. დღეს პარლამენტის წინაშე განსახილველად და დასამტკიცებლად შემოვიდა საკითხი, რომელიც ჭეშმარიტად მტკივნეულად აღელვებს მთელ საქართველოს და რაც უკვე დიდი ხანია ჩვენი ბჭობისა და პაექრობის საგანი გახდა არა მხოლოდ პოლიტიკურ წრეებში, არამედ თვით საზოგადოებაში. საერთოდ მე საკითხი ამგვარად მინდა დავაყენო, რომ მტკივნეულია არა თავად პრობლემა, არამედ ჩვენი დამოკიდებულება პრობლემისადმი, იმისდა მიხედვით, რომ ამ საკითხს ჰყავს თავისი მკვეთრი უარმყოფელები, რომლებიც სძენენ საკითხს სიმწვავეს ამ თვალსაზრისით, ჰყავთ თავისი მომხრეები და უბრალოდ იმედის მაძიებელნიც. მე არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ აზზაცსაც, რომელიც უკვე დიდი ხანია მუსირებს არა მარტო საზოგადოების გარკვეულ ფენებში, არამედ თვით პარლამენტშიც და დღესაც რამდენჯერმე გაიჟღერა ამ წინადადებამ, რომ ედუარდ შევარდნაძემ სწორედ იმგვარად წარმართა სახელმწიფო პოლიტიკა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ამგვარი დასასრული ჰქონოდაო. მე სწორედ აი ამ კონტექსტში მინდა განვიხილო წესდებასთან შეერთების საკითხი და მართლაც დავაყენო საკითხი, იყო თუ არა სახელმწიფოს მეთაურისაგან პრაქტიკულად მცდელობა იმისა, რომ საქართველო დეკლარირებული დამოუკიდებლობიდან სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე მიეყვანა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია ბატონი ედუარდ შევარდნაძის დამოკიდებულება „სნგ"-სადმი ჯერ კიდევ მოსკოვში მოღვაწეობის დროს, მაშინ როდესაც ამ კონგლომერატს მან უწოდა ეფემერული, დროებითი და ეპიზოდური პოლიტიკური მოვლენა. აქედან გამომდინარე მე მინდა შევახსენო ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებსაც და მომხრეებსაც, რომ სახელმწიფოს მეთაურმა დაიწყო პრაქტიკულად ერთდროულად ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც ერთის მხრივ ქვეყანას გამოიყვანდა სრული და დამღუპველი იზოლაციისაგან და მეორეს მხრივ მას მიანიჭებდა სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინდივიდუალობას. პირველი მიმართულებით ჯერ კიდევ ხელისუფლების არალეგიტიმურობის პირობებში, მოგეხსენებათ, წარმატებით დაიწყო და გრძელდება დღესაც. მეორე მიმართულებითაც გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები და მე მხედველობაში მაქვს ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო მეზობელ ქვეყნებთან, ახლო საზღვარგარეთთან თუ შორეულ საზღვარგარეთთან, აგრეთვე ის შესანიშნავი იდეა ევროაზიური დერეფნისა, რომლის პროექტზე მუშაობა სრულ რეალიზაციამდე უნდა გაგრძელდეს. მეორე ინტეგრაცია, რომელთანაც ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ და რასაც ჰქვია შავი ზღვის აუზის ალიანსი, მაგრამ დღეს აქ ლაპარაკი იყო, რომ ვიღაც-ვიღაცეები ალიზიანებდნენ რუსეთს, რუსეთი მართლაც გაღიზიანდა და თუკი რამ გააღიზიანა, უწინარეს ყოვლისა იმან, რომ ბარე 2 საუკუნის განმავლობაში საქართველომ პირველად ძალიან აქტიურად და ლონიერად დაიწყო თავისი საგარეო



პოლიტიკის განხორციელება. საქმე იმაში გახლავთ, რომ ყველა ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივით, იყო არა უშუალოდ პრაგმატული მხოლოდ კარაქთან და ხორცთან დაკავშირებით, არამედ იყო დიპლომატიური მანევრი სწორედ ჩვენი დიდი მეზობლის ინტერესებისა და ძალის ბალანსისათვის ამიერკავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში. მაგრამ ამას მოჰყვა საწინააღმდეგო რეაქცია, რაც პრაქტიკულად განვითარდა აფხაზეთის ომში. რუსეთის გარკვეულმა ძალებმა აგრესიაში მიიღეს, რასაკვირველია, მონაწილეობა. ამან შეცვალა ძალთა თანაფარდობა და შესაბამისად რეალური შედეგიც.

*გაგრძელება იქნება*

**ექსპრეს-აუდიტ სერვისი**

ლიცენზია №87;

გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. №5, მე-2 სართ. ტელ: 93-15-89

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.